# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1996 №110 (335) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ხორგუაშვილს ლამაზი თავური დარტყმით პირველი გოლი გააქვს ლანჩხუთელთა კარში

## ...ბოავიშტამდე

**დინამო 4:1 გურია**

**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ლობჯანიძე (კუდინოვი 46), დიდავა, ცქიტიშვილი, დავითნიძე, ინალიშვილი, მუჯირი, ხომერიკი (დემეტრაძე 46), ანჩაბაძე, ხორგუაშვილი (ალექსიძე 65)

**გურია:** ვოლკოვი, ღურწკაია (კოროტკოვი 71), თევზაძე, ცერცვაძე, ბუცურეიშვილი, განევი (ლ. კორძალიძე 46), ფაცურია (წილოსანი 76), ხოსროშვილი, გვიანიძე, გოდერძიშვილი, გვარჯალაძე

1:0 ხორგუაშვილი (28), 1:1 ლ. კორძალიძე (60), 2:1 დემეტრაძე (6-ე პ), 3:1 დემეტრაძე (70), 4:1 ცქიტიშვილი (87)

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

ოთარ კორძალიძემ „დინამოს" წინააღმდეგ ეროვნულ ჩემპიონატის რვა მატჩი ითამაშა და ხუთი გოლი გაიტანა, მის თექვსმეტი წლის ვაჟს, ლევანს კი გოლის გასატანად სულ თხუთმეტი წუთი დასჭირდა: შესვლისთანავე შესულმა მიიღო თუ არა ბურთი საჯარიმოს წინ, არც აცია, არც აცხელა, ძლიერად დაარტყა, გამისტოლა ჭანტურიას ბადიდან გამოატანინა ბურთი და ანგარიშიც გააყაიმა. ეს ამბავი მატჩის დაწყებიდან ზუსტად ერთი საათის შემდეგ მოხდა.

გვარიანად შემადგენლობაშეცვლილი „დინამო" არ დაიბნა და ნათამაშებ წუთებზე გაანგარიშებით გატანილი გოლების მიხედვით საქართველოს უდაო რეკორდსმენმა გიორგი დემეტრაძემ ჯერ ანჩაბაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით დააწინაურა „დინამო", მერე საჯარიმოს წინ სხარტი მოქმედებით ყველას აუბნია თავგზა და ძლიერად დაარტყა მარცხენა კუთხეში ისე, რომ ვოლკოვი გააშეშა. მატჩის მიწურულს კი მანვე მარჯვენა ფრთაზე გაილაშქრა და ცქიტიშვილს ისეთი პასი მისცა ცარიელი კარის წინ, შეგორებაღა უნდოდა...

ეს ყოველივე მეორე ტაიმში მოხდა, მანამდე კი, პირველში, „გურიამ" შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია „დინამოს". თბილისელებმა ორი საყრდენი ნახევარმცველით ითამაშეს — ინალიშვილი და მუჯირი. ლობჯანიძე ლიბეროდ მოგვევლინა, დიდავას კი მარჯვენა ფრთის კონტროლი ევალა. მარცხენა ნახევარმცველი ცქიტიშვილი იყო, წინ კი ხომერიკი და ხორგუაშვილი ვიხილეთ. მარცხენა მცველად ახალგაზრდა დავითნიძე მოგვევლინა, გამთამაშებელი ანჩაბაძე იყო. ევროდისკვალიფიცირებული კალაძე თავის ჩვეულ ამპლუაში — კაცზე მოთამაშედ ვიხილეთ...

დინამოელებმა ამ შემადგენლობით ოთხი ისეთი კომბინაცია გაითამაშეს, ოთხივე უნდა აღვწეროთ: ჯერ მუჯირმა ორმოცმეტრიანი დიაგონალური პასი ჩაუგდო ხომერიკს საჯარიმოში, რომელმაც ჩინებულად ჩამოილო ბურთი, საგოლე დარტყმა კი გაუცუდა, მერე იყო ცქიტიშვილის ჩინებული პასების ჰეთ-თრიქი: პირველს საჯარიმოში ანჩაბაძემ ტერფი დაუხვედრა, თუმცა ხარიხას გადააცილა, მეორე ისევ ხომერიკმა გააცუდა, ბოლოს კი ლევანისვე შონდომებით კუთხურის ხაზიდან მოტრიალებული ბურთი დიდავამ საჯარიმოში ჩაჰკიდა და ზურაბ ხორგუაშვილმა თაურით მატჩისა და „დინამოში" საკუთარი გოლების ანგარიში გახსნა.

„გურია" კი შეუპოვრად იბრძოდა და ერთხელაც გოდერძიშვილმა ლამის ყველა დინამოელი მცველი ჩამოიცილ-მოატყუა და ლანგრით მიართვა ბურთი საჯარიმოს წინ მყოფ ცერცვაძეს, ამან კი ხარიხას გადააცილა. დაცვაში გურულებს უნარიანად ხელმძღვანელობდა მერაბ თევზაძე, ერთხელ სამოცდაათმეტრიანი რეიდიც რომ განახორციელა დინამოელთა ზურგში.

თამაშის შემდეგ დავით ყიფიანმა გვითხრა, საბოავიშტო რეპეტიციას „დინამო" თურქმენებთან გაივლის დღეს, 24 ოქტომბერს 16 საათზე ეროვნულ სტადიონზე. „გურიაზე" კი ყიფიანმა ეს თქვა, ჩემი კოლეგის მუშაობის შედეგი სახეზეა, კარგი გუნდი დაუყენებიაო...

**მამუკა კვარაცხელია.**

## სიახლე ძიუდოისტებთან

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გუშინ გამართულ ყრილობას 95 მოწვეული დელეგატიდან 74 დაესწრო.

დღეს წესრიგით უნდა განხილულიყო სამი საკითხი: განვლილ ოთხწლეულში საქმიანობის ანგარიში, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა წარმოადგინა; სარევიზიო კომისიის ანგარიში; პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის წევრთა არჩევნები.

დილარ ხაბულიანის შეფასებით, ფედერაციამ ნაყოფიერად ისაქმიანა განვლილ ერთობ რთულ პერიოდში, ისაუბრა სამომავლო გეგმებზეც. დამსწრეთაც ფედერაციის საქმიანობა განსახილველ პერიოდში დამაკმაყოფილებლად სცნეს.

ემოციურობით გამოირჩეოდა ყრილობის ის ნაწილი, როდესაც დრო კამათში გამომსვლელთ დაეთმოთ. ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის სიტყვას, რომელმაც ფედერაციის ბოლო წლის ტაქტიკური ორიენტაცია დაიწუნა, მოჰყვა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯანო ბაგრატიონის გამოსვლა, რომელმაც დამსწრე და არამარტო დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა, შეეწყვიტათ შინაომები და გაერთიანებულიყვნენ საქართველოს ღირსების დასაცავად.

გაგაცინებდა ახმეტის რაიონის წარმომადგენლის გამოსვლა, ცხარე ცრემლით სატირალი ამბავი რომ არ მოეყოლა. ამ რაიონის გამგებელი ერთობ განურისხებია იმ ფაქტს, რომ სოფელ ხოდაშენში ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრი გაუმართავთ. გამგებლის, მეტი რომ არ ვთქვათ, ასეთ უცნაურ რეაქციას რაიონის სპორტის კომიტეტის უფროსის თანამდებობიდან თავისი ნებით წასვლა მოჰყოლია. ახმეტელმა მწვრთნელმა ესაც თქვა, ადრე იმაზე სჯიდნენ, შეჯიბრი რატომ არ ჩაატარეო, ახლა კი სპორტული ღონისძიების გამართვის ნებას არ გვრთავენო.

ბოლოს არჩევნებიც ჩატარდა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს დილარ ხაბულიანი, ვიცე-პრეზიდენტად ანზორ მარტყოფლიშვილი, გენერალურ მდივნად კი გაზეთ „სარბიელის" ჭიდაობისა და კალათბურთის მიმომხილველი, ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის პრეს-ატაშე მერაბ რატიშვილი.

**ერეკლე კიკილაშვილი**

# თბილისელი მთამსვლელის ორი რვაათასიანი ერთ სეზონში

## გია თორთლაძემ ჰიმალაის ორი მწვერვალი ჩო-ოიუ და შიშა-პანგმა დალაშქრა

ერთ რვაათასიან მწვერვალზე ასვლა მეტად ძნელია, თუნდაც კლასიკური მარშრუტით, რაც ხშირად წარუმატებლად და ტრაგიკულადაც თავდება. და თუ ეს ასეა, თავად განსაჯეთ, რაოდენ რთულია ერთ სეზონში ორ ასეთ ბუმბერაზზე ასვლა.

მსგავსი რამ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ექსპედიციებს აქამდე არ განუხორციელებიათ, მსოფლიოში კი ერთბაშად ორ გოლიათს შებედა მესნერმა (იტალია), კუკუშკამ (პოლონეთი) და კიდევ რამდენიმე მთამსვლელმა, რომლებმაც მიზანს მიაღწიეს.

და აი, თბილისელმა გია თორთლაძემ, რუსეთის მთამსვლელებთან ერთად, ჰიმალაიზე დალაშქრა ორი რვაათასიანი — ჩო-ოიუ (8201 მ) და შიშა-პანგმა (8013 მ), სადაც კლასიკური მარშრუტებით 17 დღიანი შუალედით ავიდა.

უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ თორთლაძემ და მისმა მეგობრებმა შიშა-პანგმა ალპურ სტილში დალაშქრეს, რაც მარშრუტის წინასწარ გაკვალვა-დამუშავებას, საშუალედო ბანაკების მოწყობას და საააკლიმატიზაციო ასვლებს არ ითვალისწინებს.

ამ მწვერვალზე გია თორთლაძესთან ერთად ავიდნენ მოსკოველი ვლადიმერ ბაშკიროვი, პერმელი ბორის სედუსოვი, სანკტ-პეტერბურგელი ბორის მედნიკი, კრასნოიარსკელი ნიკოლაი ზახაროვი და ეკატერინბურგელები ევგენი ვინოგრადსკი და ვალერი პერშინი. ჩო-ოიუს კი მათთან ერთად იყო ოთხი სანკტპეტერბურგელი ალექსანდრე: სედოვი, პასკხინი, კლიმინი და კოვალჩეკი, რომლებმაც მეორე მწვერვალს ალპურ სტილში ველარ შებედეს.

შიშა-პანგმასა და ჩო-ოიუზე სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ექსპედიციაც უტევდა, მაგრამ მიზანს თითო-ოროლამ მიაღწია, მეტიც — ზოგიერთი მათგანი ტრაგიკულად დასრულდა და რამდენიმე მთამსვლელმა სამუდამო განსასვენებელი იქ ჰპოვა.

ახლა ეს მუნწი ინფორმაცია ვიკმაროთ. დანარჩენს კი მერე მოგითხრობთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**





დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია



## ზედიზედ მესამედ!

ერევნის ოლიმპიადაზე გამარჯვებული საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გუნდის კაპიტნის ნანა ალექსანდრიას წერილი საგანგებოდ „სარბიელისთვის"

იხილეთ მეშვიდე გვერდი



# «ბოავიშტა» ჯანზეა და სამ წუთში ერთხელ ჯარიმდება

აბა, რა საკითხავია, რა თემაა დავით ყიფიანისთვის ბოლო დღეებში ყველაზე აქტუალური. დინამოელთა მწვრთნელი ყველა ღონეს ხმარობს, ტრავმებითა და დისკვალიფიკაციებით დაცხრილული გუნდი გამარჯვებისთვის შეამზადოს. არც მეტოქის თამაშებისთვის თვალის დევნება ავიწყდება. 21 ოქტომბერს, ნაშუაღამევს პორტუგალიურ ტელეარხზე იქაური ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩი, „პორტუ“ — „ბოავიშტა“ დაიწყო. დინამოელთა მწვრთნელს მატჩის დამთავრებისთანავე გავესაუბრეთ.

**— ბატონო დავით, რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება ამ მატჩში?**

— „ბოავიშტა“ ფიზიკურად იმაზე კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე ჩვენთან. თბილისში კი, ადრეც გითხარით, იმაზე გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე „ოდენსესთან“ და ჩემპიონატის სხვა მატჩებში. გუნდმა თითქმის ნახევარი საათი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარა „პორტუსთან“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფიზიკაში ტოლი არ დაუდო. მოკლედ, ფიზიკურად „ბოავიშტა“ ახლა ჩინებულადაა მომზადებული.

ტაქტიკური სქემა თითქმის ისეთივე ჰქონდათ, როგორიც ჩვენთან მატჩში. ლიბერო ისაიაში, მარჯვნივ პაულუ სოუზა, ორი წინა ცენტრალური მცველი ლატოსი და პედრო ემანუელი, ორი საყრდენი ნახევარმცველი — ტავარეში და სერჟიო დუარტე, მარჯვენა ნახევარმცველი ჟაიმე ალვეში, მარცხნივ მთელი ფრთის გაკონტროლება ევალებოდა მარიო სილვას. წინ, ისევე როგორც თბილისში, ორი თავდამსხმელი — ნუნუ გომეში და ოდნავ უკან ლატაპა. შეცვლაზეც თითქმის იგივე ფეხბურთელები გამოიყვანეს — ჰელდერი, რომელმაც ჩინებულად ითამაშა და ჯიმი, რომელმაც ზუსტად ისე ითამაშა, როგორც აქ „ბოავიშტა“ „პორტუს“ წინააღმდეგ 29-ჯერ დაჯარიმდა! იცით, ეს რას ნიშნავს?! სამ წუთში ერთი ჯარიმა, ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტია. ფეხბურთელები არ ერიდებიან უხეშობას, ამას ჩვენთანაც იზამენ, არ არის გამორიცხული, ამაზე მსაჯმა თვალი დახუჭოს.

ჩემი მონაცემებით, სანჩესი მომჯობინებულა, მაგრამ ჩვენთან მატჩში არ ათამაშეს, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება „ბოავიშტას“ შემდეგი მატჩი „გიმარაეშთან“ 25 ოქტომბერს. ეს ალბათ გენერალური რეპეტიცია იქნება.

**— თქვენთვის მოულოდნელი რამ თუ იხილეთ ამ თამაშში?**

— ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ისაიაშის გამოცვლა 55-ე წუთზე ფილიპოვიჩმა ლიბერო თავდამსხმელით შეცვალა! როგორც კი პორტოელიც გააძევეს და რიცხობრივი თანაფარდობა აღდგა, მან ეს ტაქტიკური ნაბიჯი გადადგა და აკი გაუმართლა, ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა მთლიანად „ბოავიშტასკენ“ იყო, სხვა საქმეა, რომ ვერ გამოიყენეს...

**— უპირატესობა უპირატესობად, მაგრამ საგოლე მომენტები „პორტუმ“ მეტი შექმნა ამ მონაკვეთში....**

— რა თქმა უნდა, დაცვას კაცი მოაკლდა, თანაც მთელი ძალებით შეუტიეს. დაცვაში წარმოქმნილი ხარვეზები კარგად დავინახე. ისაიაშის ამ გამოცვლამ მაფიქრებინა, რომ შესაძლოა იგი ჩვენთან არც დააყენონ. მოკლედ, მეორე თამაშსაც ვუყურებ და საბოლოო დასკვნებსაც მერე გამოვიტან...

**მამუკა კვარაცხელია**

# „სიონს“ წაგება ჩაეთვალა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს 13 ოქტომბერს ბოლნისში, „სიონი“ — „კოლხეთის“ შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტი. საქმე ისაა, რომ მასპინძელთა გუნდის უფროსი მერაბ ჯაფარიძე პირველი ტაიმის დასასრულს მოედანზე შეიჭრა და მსაჯს პრეტენზიები წაუყენა. ამ დროს ფოთელები 1:0 იგებდნენ. თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. ფოთელებმა ჩათვალეს, რომ ამ ეპიზოდმა გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე („სიონმა“ 2:1 მოიგო) და შეხვედრა გააპროტესტეს. სააპელაციო კომიტეტის სხდომას, რომელიც 12 სთ-ზე დაიწყო და ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, კომიტეტის 7 წევრი, გუნდების წარმომადგენლები და მატჩის არბიტრი ელგუჯა სილაგავა ესწრებოდნენ. საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია: „სიონს“ 0:3 წაგება ჩაეთვალა და 3 ქულა ჩამოაკლდა; შესაბამისად, ფოთელებს 3:0 მოგება და 3 ქულა მიეთვალა.

სხდომის შემდეგ ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი **ანზორ გძელიძე** უკმაყოფილებას ვერ მალავდა:

— ასე როგორ შეიძლება, კომიტეტის ყველა წევრი ამბობდა, მატჩის შედეგი ძალაში უნდა დარჩესო. სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ანტონ ონიანმა კი სხვანაირად გადაწყვიტა. ისიც არ იცოდა, წაგება 0:1 უნდა ჩაეთვალა თუ 0:3. ელოშვილი, ცაგარეიშვილი, ჩილაჩავა და მიმინოშვილი ერთ აზრზე იყვნენ, შედეგი ძალაში დავტოვოთო, ერთმა კი თქვა, მხოლოდ შეხვედრა გადავთამაშოთო. ონიანმა კი, რახან ჩვენთვის წაგების ჩათვლა მოინდომა, თავისი გაიტანა. ხომ იცით, რა რეგიონში ვცხოვრობთ, ერთი გუნდი გვყავდა და ამ გადაწყვეტილების შემდეგ ალბათ ისიც არ გვეყოლება. როგორ ფიქრობთ, ოდნავ მაინც მომეხრო მსაჯი? სხდომაზე ვთქვი, ასეთ ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი, საკუთარ სტადიონზე თამაში ამიკრძალეთ-მეთქი. „კოლხეთს“ შარშანაც მოვუგეთ ალალ ბრძოლაში, მაშინ არაფერი უთქვამთ. წელს კი აღარ ესიამოვნათ.

**ხოსო ფილია**, „კოლხეთის“ მწვრთნელი:

— ჩემი აზრით, სააპელაციო კომიტეტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან იმ დღეს „კოლხეთს“ თამაშისა და თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მიეცა. იყო მსაჯზე ზეწოლა, მოედანზე შემოცვივდნენ და მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა. აქედან გამომდინარე, ბოლნისელებს წაგება ჩაუთვალეს, რადგან თამაშის ნორმალურ ვითარებაში ჩატარება ვერ უზრუნველყვეს.

**ანტონ ონიანი**, სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

— მინდა მადლობა ვუთხრა ბოლნისელ გულშემატკივრებს, პროვოკაციას რომ არ აჰყვნენ და იგი მალე აღკვეთეს.

**— რამდენადაც ვიცი, ეს გადაწყვეტილება თქვენ მიიღეთ, კომიტეტის სხვა წევრები ასე არ მსჯელობდნენ...**

— მე, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს, უფლება მაქვს, ასეთ შემთხვევებში ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღო და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხსაც ვაგებ.

**— ბოლნისელები იმ გარემოების გათვალისწინებასაც ითხოვდნენ, რომ ბოლნისი რთულ რეგიონში მდებარეობს. ამდენად, მათი აზრით, „სიონისთვის“ ქულების ჩამოკლება საერთო საქმეს გააფუჭებს...**

— რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამომრჩენია ყურადღებიდან, მაგრამ, ვფიქრობ, არც დასავლეთ საქართველოშია უკეთესი ვითარება.

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე უნდა მოვითხოვო, რომ ბოლნისელთა გუნდის უფროსი მერაბ ჯაფარიძე მოიკვეთოს ფეხბურთიდან. ასეთი ხალხი ჩვენ არ გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი

იბერია — დურუჯი 3:0, შირაქი — თორი 0:0, ასკ — ლოკომოტივი 1:2, ცხინვალი — 35-სტუ 2:0, ჭაბუკიანი — ავაზა 0:1, მრეტები — მესხეთი 6:3, კოდაკო — ჟინერი 4:0.

ენერგეტიკოსი — მორკინალი 0:2 (თამაში განიხილება ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მასპინძელთაგან მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო).

შევარდენი 2 — არმაზი გადაიდო: შევარდენს საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებში სამი მოთამაშე ჰყავდა მიწვეული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 11 | 9 | 2 | 0 | 21-4 | 29 |
| მორკინალი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-3 | 23 |
| ცხინვალი | 11 | 7 | 0 | 4 | 20-11 | 21 |
| ასკ | 11 | 6 | 1 | 4 | 21-18 | 19 |
| არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | 21-17 | 18 |
| შირაქი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-12 | 18 |
| კოდაკო | 9 | 5 | 2 | 2 | 10-7 | 17 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 18-14 | 16 |
| შსს აკადემია | 10 | 5 | 0 | 5 | 21-14 | 15 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 20-11 | 14 |
| ენერგეტიკოსი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-17 | 14 |
| მრეტები | 10 | 3 | 5 | 2 | 14-12 | 14 |
| თორი | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 35 სტუ | 9 | 3 | 2 | 4 | 18-15 | 11 |
| ჟინერი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-20 | 10 |
| შევარდენი 2 | 10 | 3 | 1 | 6 | 10-23 | 10 |
| ჭაბუკიანი | 10 | 1 | 2 | 7 | 10-17 | 5 |
| დურუჯი | 9 | 1 | 1 | 7 | 5-27 | 4 |
| ავაზა | 9 | 1 | — | 8 | 6-20 | 3 |
| მესხეთი | 9 | 1 | — | 8 | 9-30 | 3 |

### დასავლეთი

მეშახტე — ოლიმპია 4:2, მერცხალი — მამისონი 6:1, ოდიში 2 — კახაბერი 2:0, კოლხეთი 2 — მაღაროელი 0:1, სამეგრელო — სალხინო 3:1, საპოვნელა — ტორპედო 2 2:1, იმერეთი — სულორი 2:1, სქური — ეგრისი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 11 | 10 | 0 | 1 | 37-9 | 30 |
| მეშახტე | 10 | 9 | 0 | 1 | 23-6 | 27 |
| მერცხალი | 10 | 8 | 0 | 2 | 35-11 | 24 |
| იმერეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-9 | 20 |
| სალხინო | 11 | 6 | 1 | 4 | 22-17 | 19 |
| ოლიმპია | 10 | 5 | 1 | 4 | 16-18 | 16 |
| კოლხეთი 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16-9 | 14 |
| სამეგრელო | 10 | 4 | 2 | 4 | 15-16 | 14 |
| საპოვნელა | 10 | 3 | 4 | 3 | 13-18 | 13 |
| სულორი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-15 | 12 |
| მამისონი | 10 | 3 | 2 | 5 | 24-26 | 11 |
| სქური | 10 | 2 | 4 | 4 | 6-14 | 10 |
| ტორპედო 2 | 11 | 2 | 3 | 6 | 11-22 | 9 |
| ეგრისი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-20 | 7 |
| კახაბერი | 11 | 2 | 1 | 8 | 11-34 | 7 |
| ოდიში 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 6-17 | 5 |
| ბათუმი 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 7-23 | 5 |

ჩხერიმელა ფინანსური სიძნელეების გამო შეჯიბრებიდან მოიხსნა. მასთან ჩატარებული შეხვედრების შედეგები გაუქმდა.

„ეგრისის“ მოთამაშე რევაზ იოსელიანმა „კოლხეთი-2“-თან შეხვედრისას მსაჯი თამაზ ლაცაბიძე ფიზიკურად შეურაცხყოფის გამოც, დებულების თანახმად, ხუნაკელებს მოაკლდათ ხუთი ქულა, ხოლო თვითონ იოსელიანს ერთი წლით აეკრძალა თამაში და დაჯარიმდა 1 000 ლარით.

# კონტე გადარჩა, საკი?..

ვეხსომებათ, პერუჯაში, იტალიელთა და ქართველთა შეხვედრაში ანტონიო კონტე მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. პირველადი სამედიცინო დასკვნა „იუვენტუსის“ ნახევარმცველისთვის მოლოდინელი გახლდათ. ვარაუდობდნენ, რომ მარცხენა მუხლზე ჯვარედინი მყესის დაზიანება მხოლოდ ოპერაციითა და შემდგომი ექვსთვიანი დასვენებით თუ დაამდებოდა, მაგრამ კონტეს გასახარად კლუბის ექიმებმა სხვა გზა დაინახეს. ისინი ფიზიოთერაპიული მეთოდის გაგრძელებას აპირებენ და ფიქრობენ, რომ ექვს კვირაში ყველაფერი რიგზე იქნება.

„სკუადრა აძურას“ მწვრთნელი არიგო საკის კი რთული დრო უდგას. მისი ლანძღვა იტალიაში ლამის კარგ ტონად იქცეს. იტალიური გაზეთების ცნობით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ „საკის საქმე“ უმაღლეს ხელისუფალთა თანდასწრებით განიხილა. რომში გამომავალმა „ლა რეპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ანონიმი ჩინოვნიკის სიტყვები: „ინგლისთან საკის ყოფნა უკვე უფრო ჰიპოთეტურია, ვიდრე უეჭველი.“ ლაპარაკია 12 თებერვალს „უემბლიზე“ გასამართ ინგლის-იტალიის მატჩზე. იქვე წერია, რომ 1997 წლის ივნისამდე ნაკრების ხელმძღვანელობა შეიძლება 21 წლიანთა ახლანდელმა თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ იტვირთოს, შემდეგ კი მასაც შეცვლიან. პირველ კანდიდატურად წარსულში სახელგანთქმული მეკარე დინო ძოფი ეგულებოდათ, თუ არა და „პარმას“ უწინდელი მწვრთნელი ნევიო სკალა.

საკითხს მეორე, ფინანსური მხარეც აქვს. საკის ხელფასი წელიწადში 1,07 მილიონი დოლარია (დაქვითვის შემდეგ) მისი შეცვლა კი ახალი მწვრთნელის ხელფასის გადახდასაც მოიცავს და საკისთვის კუთვნილის მიცემასაც (რადგან კონტრაქტს დაურღვევენ).

თუ საკი ნაკრებს თავს დაანებებს, სავარაუდოა, რომ იგი კვლავ „მილანის“ ან თანაქალაქელი „ინტერის“ თავკაცი გახდება.

# ა-გი-ლე-რრრა!

იაშკა გუშინ ცხრამეტი წლისა გახდა, პელე — ორმოცდათექვსმეტის. პელემდე ალექსანდრე იაშვილს ბევრი უკლია, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულში ნაღდად გაეჯიბრება. მეოთხე სეზონია, „დინამოშია“ და გოლები საკმაოდ გააქვს. გულშემატკივრების და ჟურნალისტების აზრი მის შესახებ არაერთგვაროვანია — ზოგი თვლის, მეტი აღარ გაიზრდებაო, ზოგიც, ჯერ სადა ხართო. ასე იქნება თუ ისე, ამას მომავალი და თავად იაშვილი გვაჩვენებენ, ფაქტი კი გახლავთ, რომ იაშკა ფეხბურთზე ერთი უზომოდ შეყვარებული ბიჭია და მისთვის ფეხბურთის გარდა არაფერი არსებობს. თუ თვალს მივადევნებთ მის სპორტულ კარიერას, დავინახავთ, რომ იმ სეზონიდან სეზონამდე იზრდება. ჩემპიონატის 81 მატჩში იაშვილმა 76 გოლი გაიტანა, რაც თითქმის ყველა მატჩში გოლის გატანის ტოლფასია. ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ქართველი ფორვარდებიდან არავის აქვს. მალე იგი მიხეილ ყაველაშვილის რეკორდსაც (ჩემპიონატის 80 გოლი „დინამოს“ მაისურით) დაამხობს. იაშკას უკიჟინებენ, მისმა შედეგიანობამ ევროთასებზე ძალიან იკლოო. ამ ასაკში კაცი ევროთასებზე ისევე ბრწყინავდეს, როგორც საშინაო ჩემპიონატში, ალბათ მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, რონალდოთა და მის მსგავსთა, მაგრამ არც იმას ლაუნაზობა იქნება, ეს პატარა ბიჭი, მთელ „მეს“ რომ აქსოვს თამაშში და ბოლომდე იხარჯება. თანაგუნდელთათვის ამგვარი შეხიდების გარდა იაშკა როგორღაც ახერხებს და საგოლე მომენტებსაც უქმნის პარტნიორებს; ხანდახან თავადაც გამერება ხოლმე საგოლე პოზიციაზე. მას დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აწევს და ფაქტიურად წინ მარტოდმარტო მყოფი რასაც ახერხებს, ისიც გასაკვირია.

ისე, იაშკას გოლების დათვლა ყველაზე ადვილად შეიძლება: ყველა მის გოლზე დასავლეთ ტრიბუნაზე მჯდომი ბესო კირვალიძე ღრიალს აყოლებს: აგილერააა!!!

დღეს კი ცხრამეტი წლის იაშვილი „ბოავიშტასთან“ მატჩზე ფიქრით ათენ-აღამებს.

— შეგვეძლო თბილისში უფრო დამაჯერებლად გაგვემარჯვა, მაგრამ, ვფიქრობ, არაა ცუდი ანგარიში — გოლი არ გაგვიშვია. „ბოავიშტა“ უდაოდ ყველაზე ძლიერი გუნდია, ვინც აქამდე შეგვხვედრია, მაგრამ რაღაც აკლია. კონკრეტულად ვერ გეტყვით — რა, მაგრამ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უმარილო გუნდია. მართალია, მძიმე თამაში გველის, მაგრამ მოგებული გვაქვს მშრალი ანგარიშით, ამდენად ცოტა, მაგრამ მაინც გვაქვს უპირატესობა და ვფიქრობ, უნდა გადავლახოთ ეს წინაღობა. თუ დააკვირდი ევროთასებზე „დინამო“ გასვლით მატჩებს უკეთესად ატარებს, ვიდრე საშინაოს.

**— თბილისურ მატჩში „ბოავიშტასთან“, სანამ ჯიმარაულს საპენალტოდ წააქცევდნენ, საჯარიმოში შენ დაგცეს მცველებმა. ეს ეპიზოდი გაიხსენე.**

— ორი მცველის უკან ვიყავი, ბურთი გამოვარდა და ორივემ პოზიციურ შეცდომა დაუშვა, მე კარისკენ შევვარდი და უცებ დამქაჩეს და დამაგდეს.

**— მაისურზე დაგქაჩეს თუ ტრუსზე?**

— ყველაფერზე და თანაც ამას ზედ სარმაც მოაყოლეს. თუ ის მომენტი კარგად გახსოვს, იმასაც გაიხსენებ, რომ ამის მერე ორივე მცველი გაჩერდა, იმდენად უეჭველი ეგონათ თერთმეტმეტრიანი. დაიბნენ კიდეც, როცა მსაჯმა არ დასტვინა. მე ვიაზრე, წამოვხტი და შეტევა გავაგრძელე, მაგრამ რაკიღა კუთხე ძალზე მახვილი იყო, ჩემი დარტყმა მეკარემ მოიგერია და დამმატებელი არავინ არ გამოჩნდა.

**— ბოლო დროს გოლების გატანის უკელი, სამაგიეროდ, უფრო მებრძოლი და მობილური გახდი.**

— ვცდილობ, საგოლე მომენტების გამოყენებაზე მაქსიმალურად ვიმუშაო და „დანაკლისი“ ავინაზღაურო. ვერ ვიტყვი, რომ უიღბლობის ბრალი იყოს, ალბათ, ისევ ჩემშივე უნდა ვეძებო მიზეზები. რაც შეეხება მებრძოლობას, მე მწვრთნელის დავალებას ვასრულებ — ვცდილობ მცველები შეძლებისდაგვარად შევაკავო და წინ თავისუფლად წამოსვლის საშუალება არ მივცე. როგორც გამომდის, ჩემი შესაფასებელი არ არის. ერთია, რომ თავს არ ვზოგავ, მაგრამ მარტო მებრძოლობა არ მაკმაყოფილებს, მეტი უნდა ვიმუშაო, რომ ბრძოლასთან ერთად ისევ მოვუხშირო გოლების გატანასაც. ახლა გოგიჩაიშვილი მეხმარება შეტევაში, მაგრამ იგიც ცდილობს, შეტევასთან ერთად მეტოქის მარცხენა ფრთაც აკონტროლოს. მიუხედავად ამისა, კახა უმრავლეს შემთხვევაში იგებს ბრძოლას და საჯარიმოში აწვდის. აი, ამის მაქსიმალურად გამოყენება საჭირო. მოკლედ, სამუშაო და სავარჯიშო უამრავი მაქვს.

**— როგორ უნდა ვითამაშოთ პორტუგალიაში, წარმატებას რომ მივაღწიოთ?**

— ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და ყველა მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ. ჩვენ შეგვწევს ძალა, გამოვაგდოთ „ბოავიშტა“...

— თუ ეს ასეც მოხდა, მაშინ არ ვიცი, ქებას რა სიტყვები უნდა მივუძღვნათ დინამოელებს. ასე იქნება თუ ისე, ქებას ისინი მაინც იმსახურებენ, ისევე, როგორც აწ უკვე 19 წლის ალექსანდრე იაშვილი.

ვიცი ეს მოფერება იაშკას არ გააყოყოჩებს, კვლავაც თავს ჩალუნავს და არ დაიზოგება ვარჯიშებზეც და თამაშებზეც. ისეთივე მორიდებული იქნება, როგორც მაშინ, 16 წლისამ და 13 დღისამ „დინამოში“ დებიუტი გოლით რომ აღნიშნა. იგი გაიზრდება, აუცილებლად გაიზრდება, რაკიღა ფეხბურთში შრომა ჯერ არავის დაჰკარგვია.

**მამუკა კვარაცხელია**



იაშვილ-ისაიაშის დუელი პორტუგალიაშიც გაგრძელდება

## ლიუბანსკის გემოვნება არ ღალატობს

საქართველოს 18 წლამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვახტანგ კოპალეიშვილს სოფიაში ბელგიელი სელექციონერები ესაუბრნენ. ერთ-ერთი მათგანი 70-იანი წლების ცნობილი პოლონელი მოთამაშე ვლოძიმეჟ ლიუბანსკი ყოფილა. ესენი „ანდერლეხტის", „სტანდარტის" და „მოლენბეკის" სელექციონერებად მუშაობენ. ლიუბანსკის სამი ქართველი მოთამაშისთვის დაუდგამს თვალი, განსაკუთრებით კი დინამოელი კობიაშვილის გადაბირება სდომებია ამ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთ გუნდში. საუბარი გოჩა ჯამარაულსა და კოლხეთელ გოგა გახოკიძეზეც ყოფილა. კობიაშვილის სანახავად ბელგიელები საგანგებოდ დასწრებიან 9 ოქტომბერს პერუჯაში იტალია — საქართველოს მატჩს. ახლა ინგლისთან 9 ნოემბრის შეხვედრაზეც აპირებენ ჩამოსვლას. მოკლედ, საქართველო ბელგიელი სელექციონერების მხედველობის არეში მოექცა.

## გუჩუა გამოჯანმრთელდა, ბუკია — შეემატა

ზუგდიდის „ოდიშში" მატებაა: მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ნახევარდაცვის ხაზის გასაძლიერებლად გუნდში მიიწვია სენაკის „ეგრისის" ყოფილი მოთამაშე, 24 წლის ლაშა ბუკია. ვნახოთ, როგორ წაადგება „ოდიშს" ახალი შენაძენი. ეს ინფორმაცია კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ჯემალ გოგიამ მოგვაწოდა. მანვე გვაცნობა, რომ „მერანი 91" — „ოდიშის" მატჩში დაშავებული ვოლტერ გუჩუა გამოჯანმრთელებულა და ამჟამად მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. იგი, ალბათ, მომდევნო ტურშივე გამოვა სათამაშოდ.

## ზიპო უკვე მოეჯობინდა

ზესტაფონის „მარგვეთის" 33 წლის მცველი ზაზა გურიელიძე, საფეხბურთო წრეებში „ზიპოდ" ცნობილი, ორი თვის წინანდელი ავტოავარიის შემდეგ, ბევრს რომ ეგონა, ხეიბარი დარჩებაო, ექიმების მონდომებით და საკუთარი ნებისყოფის წყალობით ფეხზე წამოდგა, ტრავმები მოიშუშა და „მარგვეთის" შინაურ თუ გარეულ თამაშებს გუნდის სათადარიგოთა სკამზე ატარებს. არა, მინდორზე გამოსვლა ჯერ ნაადრევია, მაგრამ:

— ფეხზე წამოვდექი და აწი რაღა მიჭირს. ამ დღეებში მოტეხილი ხელიდანაც მოვიხსენი თაბაშირი და ვარჯიშს დავიწყებ. ავადმყოფობისას ისე მომენატრა ფეხბურთი, გადავწყვიტე ერთი ათი წელი კიდევ ვითამაშო და მერაბ მეგრელაძის საფეხბურთო დღეგრძელობა გავიმეორო. თანაც, თამაში არ უნდა გამოვტოვო. ვფიქრობ, ჯანი და ნებისყოფა არ მიმტყუნებს.

## ყიზოს 20 დაებედა

20 ივლისს დათო ყიზილაშვილს ქალიშვილი შეეძინა, 20 აგვისტოს ნორვეგიაში ფეხი მოიტეხა, 20 სექტემბერს თაბაშირი მოიხსნა, 20 ოქტომბერს კი უკვე მინდორზე გამოიჭრა. „ყიზო" ჯერ ბურთიან ვარჯიშებს ვერ ატარებს, ფეხს უფრთხილდება, მაგრამ დილის ბაზაზე კი დამუნჯულებს, არც ძალოსნობის მანეჟში ვარჯიშს თაკილობს მოდუნებული კუნთების გასამაგრებლად. „ყიზოს" ახლა ერთი ოცნება აქვს — „დინამომ" „ბოავიშტას" ბარიერი გადალახოს. თუ ეს ასე მოხდა, დათო ყიზილაშვილი შემდეგ ეტაპზევე შეეშველება თანაგუნდელებს. რაკილა რიცხვები დაემთხვა, პირველი მატჩი მან 20 ნოემბერს უნდა ითამაშოს.

# გაიზარდოს, ითამაშოს!

ერთი კვირის წინ, 17 ოქტომბერს დაიბადა ლევან მერაბის ძე ჟორდანია. სიმაღლე — 52 სმ წონა 3,9 კგ.



ბაბუა (მამის მხრიდან) — ლევან ჟორდანია, თამაშობდა თბილისის „დინამოში" და ქუთაისის „ტორპედოში". ამჟამად ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსია.



ბაბუა (დედის მხრიდან) — კახი ასათიანი, თამაშობდა თბილისის „დინამოში" და სსრკ ნაკრებში. ამჟამად საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეა.



მამა — მერაბ ჟორდანია, თამაშობდა თბილისის „დინამოში", ქუთაისის „ტორპედოში", ლანჩხუთის „გურიაში", ჰოლანდიის „ჰერენვენში", ისლანდიის „სტეარნანში". ამჟამად თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი და უეფას პროფესიული ფეხბურთის კომიტეტის წევრია.



ძმა — კახი ჟორდანია. 2 წლის — ჯერ არსად უთამაშია.

## პეტერბურგშიც კარგი დაკლია

კარგა ხანია, სანქტ-პეტერბურგელ ქართველებზე ალარაფერი დაგვიწერია. ჰოდა, ამიტომაც დავუკავშირდი ჟურნალ კოლაბოიან-ას და ახალი ამბები გამოვკითხე. ამბავი კი ბევრი დაგროვებულა...

**— ყველაზე საკვირველი, რაც ხდება, ალბათ ისაა, რომ გივი ნოდია ბოლო მატჩებში სულ ახალგაზრდებს აყენებს. თქვენ ძველ შემადგენლობაშიც ლიდერები იყავით და ახლა ალბათ მთლად ყოჩებივით ხართ. რამ აიძულა ბატონი გივი, ეს ნაბიჯი გადაედგა?**

— ვერც დაიჯერებ, ისეთი ამბები მოხდა. მე და გია ადრეც ვეჭვობდით, მაგრამ ამ ბოლო დროს დაგვიდასტურდა, რომ ზოგი ჩვენიანი თამაშებს ყიდდა. ბუნებრივია, მწვრთნელი უკეთ ამჩნევს ყველაფერს, ჰოდა, ბატონი გივიც იძულებული გახდა ძირითადის ხუთი მოთამაშე „დაესვენებინა". ეს ხუთეული სეზონის წინ დავიმატეთ „სმენა-სატურნიდან", ეტყობა, შარშანდელი თუ შარშანწინდელი „ვალები" ჰქონდათ. საკვირველი იყო, სადაც ჩავიდოდით, მეტოქე კლუბის ხელმძღვანელები სულ ამ ფეხბურთელების კითხვაში იყვნენ. მოკლედ, ყველაფერი ნათელი გახდა.

**— ახალგაზრდების სიჭირბემ ვერ შეგიშალათ ხელი, ლიდერი „დინამო — გაზოვიკი" დაგემარცხებინათ.**

— ახალგაზრდები, რომლებიც ნოდიამ ჩვენი მეორე გუნდიდან დაიმატა, ისე გაახარა ამან, რომ თავი მოიკლეს. 1:1-ზე კი, მატჩის მიწურულს, გიამ მახვილი კუთხიდან საწაული გოლი შეაგდო და 2:1 მოვიგეთ.

**— შენი ბომბარდირობის საქმე როგორ არის?**

— ახლა, ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე 21 გოლი მაქვს გატანილი და სტავროპოლელ სერგეი მასლოვს სამით ვუსწრებ, სარატოველ კარაპეტ მიქაელიანს კი, რომელიც სომხეთის ეროვნული ნაკრების წევრია და გერმანელებს გოლიც შეუგდო — ოთხით. არის კიდევ ერთი მდევარი, ჩვენ რომ 9:0 მოვუგეთ, იმ „ზარიას" ფორვარდი ვლადისლავ იარკინი, რომელსაც ჩვიდმეტი გოლი აქვს გატანილი და აქედან 12 პენალტით, „სპორტ ექსპრესში" კი რატომღაც მეც და მასაც ორ-ორი პენალტი გვიწერია, არადა, მე ერთი გავიტანე. მოკლედ, თუ პირველი ლიგისთვის ჩვეული ჩაწყობები არ იქნა, უეჭველად გავხდები ბომბარდირი.

**— გიისადაც აპირებთ პეტერბურგში დარჩენას?**

— მე და გიას კონტრაქტი წელს გვიმთავრდება, ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელთაგან არავინ დაგველაპარაკებია. ჩემი ვარაუდით, ეს სეზონის ბოლოს მოხდება, ვნახოთ... აქაურობას ძალზე შევეგუეთ და ვფიქრობ, თუ კარგი პირობები შემოგვთავაზეს, კიდევ დავრჩებით. თანაც, მომდევნო სეზონში „ლოკომოტივმა" უმაღლეს ლიგაში გადასვლა უნდა დაისახოს მიზნად და ამისთვის ალბათ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს დაიმატებენ, რაც მთავარია, ფინანსურად უნდა იყო მყარად. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი აქსიონენკო უფრო დააწინაურეს და ამ მხრივ გუნდს ალბათ პრობლემები არ ექნება. ამ კაცს ძალიან უყვარს ფეხბურთი და ისიც ნათლად აქვს წარმოდგენილი, რა სჭირდება უმაღლეს ლიგაში გადასვლას. პეტერბურგში დარჩენა-არდარჩენაზეც სწორედ მასთან მოგვიწევს საუბარი სეზონის ბოლოს.

**— დარჩენილ ოთხ ტურში რას გეგმავთ?**

— ლიგაში დარჩენა ჩვენთვის გადაწყვეტილი ამბავია. ამიტომაც, ვფიქრობ, დარჩენილ ოთხ თამაშში ბატონი გივი ექსპერიმენტებს ჩაატარებს, ახალგაზრდებს გამოსცდის. მე კი კვლავ გოლების გატანას ვეცდები, არ მინდა ვინმემ მაჯობოს ბომბარდირთა დავაში. ბოლო ტურში „ზვეზდას" 4:1 მოვუგეთ და ორი გოლი შევაძგე ახლა ერთკვირიანი „ტურნე" გვაქვს შორეულ აღმოსავლეთში, ჯერ ნახოდკის „ოკეანს" ვხვდებით, მერე კი ვლადივოსტოკის „ლუჩს". ამ გუნდებში შვიდი ქართველი თამაშობს და იმათაც ვინახულებთ.

**— ადრე თქვენზე საკმაოდ იწერებოდა მოსკოვურ გაზეთებში, ახლა კი ნაკლებად, რატომ აღარ გწყალობთ „ცენტრალური პრესა"?**

— არ ვიცი, შეიძლება ჩვენი წარმატებები გულზე არც ეხატებათ. რაც შეეხება აქაურ, პეტერბურგულ გაზეთებს, კვლავაც ყურადღების ცენტრში ვართ, ამათთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**— საქართველოში როდის ჩამოხვალთ?**

— ნოემბრის დასაწყისში სახლისკენ გამოვწევ, ხუთი თვეა, ბავშვი შემეძინა და ორჯერ არ მინახავს ხეირიანად, გია ალბათ დარჩება ერთ-ორ დღეს და გუნდის ხელმძღვანელობას ორივეს მაგივრად დაელაპარაკება ჩვენი დარჩენა-არდარჩენის თაობაზე რომ ჩამოვალ, დანარჩენი მერე იყოს...

**მამუკა კვარაცხელია**

# კბილი კბილისა წილ

ფეხბურთი ბალეტი არ არის, ხან კოჭებში მოგარტყამენ, ხან მუხლში, ხანაც სულაც თავ-პირსაც „დაგიმშვენებენ". მაგრამ უმეტესჯერ ეს კაცური თუნდაც, უხეში ორთაბრძოლის შედეგია. აი, მეგუზალიერი შავმა ბოავიშტელმა ჯიმიმ კი, რაკი ფეხბურთში არაფერი გამოუვიდა, ჩვენთან საბრძოლველად სხვა ხერხი იხმარა: ჯერ მეტოქეებს ურტყა წიხლები და მუჯლუგუნები, მერე კი გზად შემხვედრი საცოდავი სამიც არ დაინდო. დღეს ჯიმისგან დაზარალებულთაგან ერთ-ერთს, ზვიად ჯელაძეს შევახვედრებთ, რომლის ერთი კბილის ნატეხი სადღაც ჩრდილოეთის კარის წინ გდია. არგონავტების ეპოქაში კბილების დათესვას რა მოჰყვა, მკითხველმა კარგად უწყის და, ვინ იცის, იქნებ ჯიმისაც იაზონივით შავი დღე დაადგეს 29 აგვისტოს.

— პორტუგალიელები კუთხურს აწოდებდნენ, ჯიმი უცებ წინ გაიქცა და სახეში იდაყვი მითავაზა, ისე უცებ გააკეთა, ვერც კი მივხვდი, რა მოხდა, მერეღა მოვედი აზრზე და კბილიც გადმოვაფურთხე. ჯიმი მართლა პროვოკაციებისთვის იყო შემოსული, ყველაფერს მსაჯის ზურგს უკან აკეთებდა, თუმცა, ამ მსაჯთან გინდა წინ გაგეკეთებინა, გინდა უკან, მაინც ვერ ამჩნევდა.

ისე არც მე დავრჩი ჯიმის ვალში და გული მოვიოხე, თუ როგორ, ეს არავის დაუნახავს და არც არის ამაზე ლაპარაკი საჭირო...



**— მესამე „სარბიელია", ჯიმის შავ საქმეთა რჩევაში ვართ. სხვისი არ ვიცი და, მე პირადად ჯიმის ვერც თბილისში შევნიშნე რაიმე განსაკუთრებული სიმძლავრე გარდა და ვერც პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩებში. შენ როგორ დაახასიათებდი „ბოავიშტას" შავ ლეგიონერს?**

— მისი მთავარი ღირსება ფიზიკური ძალაა. ტექნიკით დიდი ვერაფერი, მაგრამ ძალიან ათლეტურია, თავად ნახე, ერთხელ იმ სიმაღლეზე ახტა... ეგ იყო, ბურთი ვეღარ დაარტყა.

**— დავანებოთ თავი ჯიმის. შენი აზრით, თვითონ „ბოავიშტა" როგორი გუნდია?**

— ყველა მათგანზე ძლიერი, ვისაც აქამდე შევხვედრივართ. ეს ალბათ იმის გამოცაა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ევროპაში ცნობილ გუნდებს „სპორტინგს", „პორტუს" და „ბენფიკას" ეთამაშება.

**— მოთამაშეთაგან ვის გამოარჩევდი?**

— ჩვენთან მატჩში ყველას ტავარეში სჯობდა, ძალიან კარგი ცენტრალური ნახევარმცველია. ძალზე ძლიერი ფორვარდი ნუნუ გომეშიც, კიდევ კარგი, კალაძემ პირწმინდად დაკეტა, ტრინიდადელი ლატაპიც მომეწონა...

**— პორტუგალიელებთან მატჩში, მარჯვენა მცველად რომ დაიწყე, თავიდან რამდენიმე შეცდომა დაუშვი. რისი ბრალი იყო?**

— თამაშის წინ ძალიან ვნერვიულობდი, ამიტომაც იყო, პირველი ათი წუთი ვერა და ვერ მოვედი გონზე. ჩემი აღელვება იმის ბრალიც იყო, რომ ამხელა აუდიტორიის წინაშე არასდროს მითამაშია. მერე და მერე, თამაში რომ გაჩაღდა, დავრწმუნდი, თანაც, მაჭავარიანის ტრავმის შემდეგ ცენტრში გადმოვიწიე და ამან უფრო გამიადვილა საქმე. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია.

**— ამ მატჩში მიიღე გაფრთხილება, რომელიც შენთვის რიგით მესამეა წლევანდელ უეფას თასზე. გაქვს უფლება ითამაშო განმეორებით მატჩში პორტუში?**

— როგორც ყიფიანმა ამიხსნა, ისეთ შემთხვევაში, როცა ევროთასებზე ორი ყვითელი ბარათის მერე ფეხბურთელი მატჩს გამოტოვებს და შემდეგ მესამე ყვითელსაც მიიღებს, უეფას სპეციალური კომიტეტი განიხილავს მის საკითხს და ან აუკრძალავს შემდგომ მატჩს, ანაც ნებას დართავს ითამაშოს. ჩემს თაობაზე აქამდე აკრძალვა არ მოსულა, ესე იგი, ვითამაშებ პორტუგალიაში.

**— იქ კი კარგი დაცვა და მცველები ჰაერივით გვჭირდება, მით უმეტეს, რომ მაჭავარიანი და კალაძე არ გვეყოლებიან. შესანიშნავ ფორმაში მყოფი ამ ორი მცველის არყოფნა უდიოდ შეასუსტებს ჩვენს დაცვას.**

— მართლაც ძალზე დიდი დანაკლისია, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ დიმა კუდინოვი დაგვემატება, მისი გამოცდილება კი დიდად შეგვეშველება. გარდა ამისა, გუნდში კიდევ არიან მცველები, რომლებიც, ვფიქრობ, ღირსეულად შეცვლიან გამოკლებულებს.

**— შენი აზრით, როგორი ტაქტიკით უნდა ვეთამაშოთ „ბოავიშტას" საპასუხო თამაში?**

— ტაქტიკა ჩემი საქმე არაა, ტაქტიკას მთავარი მწვრთნელი შეარჩევს. ფაქტი ისაა, რომ ყველაფერი უნდა გავიღოთ გამარჯვებისთვის.

**— შენ რა პოზიციაში გირჩევნია თამაში პორტუში?**

— სადაც მწვრთნელი დამაყენებს, იქ ვითამაშებ. ჩემთვის სულერთია, რა ამპლუას მარგუნებენ. მთავარი თავი არ დავზოგო და გუნდს გამოვადგე.

**— რომელი უფრო მძიმე თამაში უნდა იყოს — განმეორებითი პორტუში თუ პირველი მატჩი მოსკოვში „ტორპედოსთან"?**

— შედარებაც არ შეიძლება, რა თქმა უნდა, პორტუს თამაში უფრო მძიმე იქნება. „ბოავიშტა", აკი გითხარი ყველაზე ძლიერი გუნდია, ვინც კი შეგხვედრია. თბილისშიც ძლიერად ითამაშეს, ჩვენი თამაშიც უკვე იციან, არ დაგვაიწყდეს მაყურებელთა მხარდაჭერაც. თანაც, თბილისში უკადრებელი იკადრეს და იქ რას იზამენ, ვინ უწყის...

მოსკოვში კი „ტორპედო" რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენთან სათამაშოდ მაინც თავდაჯერებული გამოვიდა და დაისაჯა, პორტუგალიაში კი ამგვარი რამ გამორიცხულია. ვფიქრობ, პირველივე წუთიდან შემოგვიტევენ. ჩვენი წილი უპირატესობა ჩვენც გვაქვს. პირველ მატჩში მინიმალური, მაგრამ მშრალი ანგარიშით გავიმარჯვეთ, ასე რომ, მეტოქემ აუცილებლად უნდა შემოგვიტიოს, გოლის გატანა თუ უნდა. ეს ჩვენ კონტრშეტევის საშუალებას მოგვიტანს, აქ კი, ჩემი აზრით, ჯამარაულის ოსტატობა და გოგიჩაიშვილის სისწრაფე გადაწყვეტს ბევრს.

**— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რაიმე პრობლემების ხომ არ გეფიქრება?**

— ჩვენ შიში აღარავისა გვაქვს, ადრინდელმა მატჩებმა და მწვრთნელის ფსიქოლოგიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, თუ მზად ვართ, ვერაფერი შეგვაშინებს. ვიცით, რომ ყველასთან შეგვწევს ბრძოლის უნარი და ფსიქოლოგიურად არ გავტყდებით. განვლილმა მატჩებმა დაგვარწმუნა ამაში.

**— თავიდან თუ წარმოიდგენდი, რომ სამ ეტაპს გავივლიდით?**

— სიმართლე თუ გინდა, ჩემთვის არ იყო მოულოდნელი „დინამოს" ეს წარმატება. ჩვენ ბევრი ვიშრომეთ ამისთვის, ჯერ კიდევ თბილისიდან და ტალინის შეკრებიდან დაწყებული. ყველამ მწვრთნელიან-მოთამაშეებიანად, მაქსიმუმი გაიღო და ფეხბურთში კი შრომა მუდმივად გიფასდება. მოკლედ, მე მჯეროდა, რომ კარგად გამოვიდოდით. ყიფიანის მიერ შემუშავებული კონკურენციის სისტემაც ძალიან წაგვადგა — ამან უფრო სერიოზულად შეახედა ფეხბურთელებს საქმისათვის და შედეგსაც ხედავთ. ამ ყოველივეში უზომოდ დიდია ყიფიანის წვლილი, ამის დაუნახაობა არ იქნება.

**— შენმა ძმამ შენზე ადრე კი მოირგო „დინამოს" მაისური, მაგრამ შენ მასზე ადრე — ძირითადისა. სოხუმი და სამტრედია მაინც სხვაა, ხომ არ გაგჭირვებია დინამოელებთან შეგუება?**

— არა, აქ ძალიან კარგი ბიჭები თამაშობენ, უცებ მიმიღეს დინამოელად, ასეთი გულთბილობა იშვიათია. აღარაფერს ვამბობ გუნდის ხელმძღვანელობაზე. მოკლედ, ახლა თავს ნამდვილად დინამოელად ვგრძნობ.

**— პორტუგალიური მატჩის პროგნოზს ხომ არ გვეტყოდი?**

— პროგნოზს არა და, იმას კი გეტყვი, რომ მეტად იმედიანად და საბრძოლველად ვარ განწყობილი. იქ დიდი ომი მოგველის და არავერის დამთმობები არა ვართ, შემდეგ წრეში ჩვენ უნდა გავიდეთ.

**მამუკა კვარაცხელია**

# ფეხბურთის რუკასთან



ჰოლანდიელმა ზანგმა პიერ ვან ჰოიდონკმა თავისი ქვეყნის ნაკრებში ადგილის დამკვიდრებას მიჰყო ხელი. მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრაში, უელსში, შეცვლაზე შესულმა ორი გოლი გაიტანა და მასპინძლებს გამარჯვება გამოსტაცა ხელიდან. ამ საერთაშორისო გაბრწყინებამდე კი იგი გლაზგოს „სელტიკის“ კარგ თავდამსხმელად იყო ცნობილი. შოტლანდიის მუდამ მეორე გუნდში მან 50 გოლის გატანა მოასწრო (10 მიმდინარე ჩემპიონატში). ბოლო ტურში „ჰართსს“ ორჯერ შეუგდო, მაგრამ ბოლო წამს მეტოქემ გაქვითა და „სელტიკს“ ცხრილში პირველ ადგილზე გადასვლა არ დაანება. ამჟამად ჰოიდონკის გუნდში დარჩენის საკითხი დგას. შოტლანდიელი ჟურნალისტები ფეხბურთელს ეკითხებიან მომავლის ამბავს. „სელტიკის“ მწვრთნელმა ტომი ბერნსმა განაცხადა, როგორც კი ჰოლანდიელის მენეჯერი მოსალაპარაკებლად მოვა, ხელად ახალ კონტრაქტზე ჩამოვუგდებ სიტყვასო.

შვეიცარიის ნაკრებს 10 ნოემბერს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი აქვს სათამაშო ნორვეგიასთან. მწვრთნელმა როლფ ფრინგერმა ამ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია საერთაშორისო მატჩებში გამოწრთობილი ალენ სუტერი, მაგრამ პასუხად მოკლე და უკომენტარო არა მიიღო. სუტერს ნაკრებში 61 შეხვედრა აქვს ჩატარებული. წინა მწვრთნელის, პორტუგალიელი არტურ ჟორჟეს დროს, მან სიტყვა თქვა ეროვნულ გუნდში აღარასოდეს ვითამაშებო და როგორც ჩანს, ახლაც ამ აზრზეა. ფრინგერმა „ფრაიბურგის“ მოთამაშის პასუხი ვერ ახსნა, მაგრამ თქვა რას ვიზამ, ფაქტად უნდა მივიღოთ. მწვრთნელი თვლის, რომ სუტერს თავისი პოზიცია ჯერ კიდევ გასაცნობიერებელი აქვს.

ურუგვაელმა თავდამსხმელმა ენცო ფრანჩესკოლიმ, რომელიც ნოემბერში 35 წლის გახდება, არგენტინის პირველობის ბოლო ტურში ორი გოლი გაიტანა და „რივერ პლეიტი“ ცხრილის სათავეში მოაქცია. მის ორ გოლს თანაგუნდელებმა სამიც დაამატეს და 5:2 მოუგეს „როსარიო სენტრალს“. ლუს სეზარ მენოტის „ინდეპენდიენტემ“ შინ 1:1 დაამთავრა „ურაკანთან“, ხოლო „ბოკა ხუნიორსმა“, 15 მილიონი დოლარის ახალი მოთამაშეებით რომ გაძლიერდა, გაცილებით იაფ „ნიუელ ოლდ ბოიზს“ შინ 2:1 მოუხერხა.

იუგოსლაველი ფორვარდი სავო მილოშევიჩი 15 თვის წინ 5,56 მილიონ დოლარად ინგლისის „ასტონ ვილაში“ გადავიდა და იქ 57 შეხვედრაში 16 გოლი შეაგდო. მილოშევიჩი უკმაყოფილოა. ბოლო მატჩში „ლიდს იუნაიტედთან“ იგი შემადგენლობაში ვერ მოხვდა და მოლუშულმა თამაშის დაწყებამდე დატოვა სტადიონი. ინგლისელები იუგოსლაველს ჯანზე ყოფნას უწუნებენ, მაგრამ ამის მიუხედავად მისით იტალიური კლუბები არიან დაინტერესებული. ბოლოჟამს, ყველაზე მეტად „პერუჯამ“ გამოიჩინა ცნობისწადილი, მანამდე „რომამ“ მოსინჯა ნიადაგი, „ვილაში“ გადასვლამდე კი „პარმა“ ეპატიჟებოდა. თუ მილოშევიჩს გაყიდის, „ასტონ ვილას“ ფული გამოუჩნდება და ახლავე ცნობილია, რომ „ლივერპულს“ სტენ კოლიმორზე დაუწყებს ვაჭრობას.

ბრიტანული ტყავის მრეწველი ფირმა CONRAD PLC რამდენიმე კვირაში ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „შეფილდ იუნაიტედს“ უპატრონებს. ორშაბათს ფირმამ თავის შესაძლებლობებს გადახედ-გადმოხედა და როგორც „ფაინენშლთაიმზში“ ეწერა, 10 მილიონ გირვანქას თავად გაიღებს, კიდევ ათს კი მასთან შერწყმული სხვა კომპანია. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ „კონრადმა“ პრემიერლიგელი „ლიდს იუნაიტედის“ პატრონობისთვის ბრძოლა წააგო „კასპიან გრუპთან“.

ესპანელი ფეხბურთელები 29 დეკემბერს გაფიცვას გეგმავენ. საქმე ის გახლავთ, რომ მათი ლიგის 22 გუნდამდე გაზრდის, ევროტურნირებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრების გამო კალენდარი ისე გადაიტვირთა, რომ ადრე ტრადიციული არდადეგები, შობამდე რომ იწყებოდა და ნაახალწლევს მთავრდებოდა, უკვალოდ გაქრა. „გასული ექვსი თვის განმავლობაში კლუბებმა ვერაფერი გაიწყვეს გარდა იმისა, რომ საკუთარი მოთამაშეების წინააღმდეგ გაილაშქრეს“. — თქვა ესპანელ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხერარდო გონსალესმა. მანვე სცადა საქმეში ჩარევა და იმედი აქვს, რომ 22 დეკემბრიდან 5 იანვრამდე მოთამაშეებს უქმეებს გაუხერხებს. შეგახსენებთ, რომ სეზონის ბოლოს, ესპანეთის უმაღლესი ლიგიდან უპირობოდ გავარდება ოთხი გუნდი, ქვევიდან კი ორი ავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში ქვეყნის ტიტულისთვის ბრძოლას 20 გუნდი დაიწყებს.

ბრაზილიელმა ბებეტომ შესაძლოა ინგლისს მიაშუროს. ყოველ შემთხვევაში ამის სურვილი „ბლექბერნ როვერსის“ მწვრთნელს რეი ჰარფორდს გულში აქვს ამოჭრილი. მას მერე, რაც ზაფხულზე ჰარფორდმა ალან შირერი 15 მილიონ გირვანქად „ნიუკასლ იუნაიტედს“ მიჰყიდა, „ბლექბერნს“ საქმეები დაღმა წაუვიდა და აგერ, პრემიერლიგაში ათი ტური ისე მიილია, რომ წამლად ერთი თამაშიც ვერ მოიგო. ცხადია ბოლო ადგილზეა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ჰარფორდი ფეხბურთელის ყიდვას გეგმავს, იმის მანიშნებელია, რომ კლუბის პატრონები მას სამსახურიდან არ უშვებენ. მწვრთნელმა ორიოდ დღის წინ ბრაზილიაში დარეკა და ბებეტოს ახლანდელ დამქირავებლებს, კლუბ „ფლამენგოს“ თავკაცებს ესაუბრა. მას ბრაზილიელთათვის 5 მილიონი გირვანქა შეუთავაზებია რაც 32 წლის ვარსკვლავის საყიდლად სავსებით ზომიერი თანხაა. სატრანსფერო ბაზარზე ჰარფორდს სხვა საქმეც გამოუჩნდა. მოგეხსენებათ, შაბათს „სანდერლენდს“ მეკარე ტონი კატონი დაუშავდა. მან ფეხი მოიტეხა და როგორც ამბობენ ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ახალი მეკარის მაძიებელმა „სანდერლენდმა“ „ბლექბერნს“ მიაკითხა და ირლანდიელ გოლკიპერ შეი გივენზე ჩამოუგდო სიტყვა. ამ წინადადებით თვით გივენი მოხიბლული დარჩა, რადგან „ბლექბერნში“ გამუდმებით ტიმ ფლაუერსის ჩრდილშია. პრაქტიკა აკლდება და შესაძლოა თავისი ქვეყნის ნაკრებში აღარც გამოიძახონ. ჰარფორდმა მიუხედავად შეთავაზებული 2 მილიონი გირვანქისა, გივენის გაყიდვა იუარა.

ესპანეთის ლიგას ახალი ბრაზილიელი შეემატა. ორშაბათს „დეპორტივო ლა კორუნიამ“ 340 მილიონ პესეტად (2,65 მილიონი დოლარი) კონტრაქტი დაუდო „ატლეტიკო მინეროს“ აწ უკვე ყოფილ თავდამსხმელს რინალდოს. რინალდომ განაცხადა, აქ თავს მშობლიურ გარემოში ვგრძნობო. იგი ხომ „დეპორტივოში“ მცველ მაურო სილვას და კიდევ ორ თანამემამულეს შეუერთდა. 25 წლის ფეხბურთელს მაინცდამაინც არც ენობრივი ბარიერი შეუშლის ხელს, რადგან იმ კუთხის ენა ფრიად ჰგავს პორტუგალიურს. კონტრაქტი ძალაში დეკემბრიდან შევა და სამ წელიწადს იმოქმედებს. მანამდე კი, ერთი თვით რინალდო შინ დაბრუნდება.

ბელგიელმა მცველმა ფილიპ ალბერმა, რომელიც „ნიუკასლ იუნაიტედში“ გამოდის, შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის“ 5:0 ძლევის შემდეგ პრესაში განაცხადა, რომ მისი იმდღევანდელი მეტოქე ფრანგი კანტონა მოედნიდან გასაძევებელი იყო და ეს რომ არ მოხდა, იგი ბედს უნდა უმადლოდეს. ივივე ალბერს კანტონასთვის პირშიც უთქვამს. „თუ კანტონა პატიოსანი კაცია, მან საჯაროდ უნდა აღიაროს, ცუდი ქცევა“ — განავრცო თემა ალბერმა. მან ისიც თქვა, რომ ესმის მეტოქის განაწყენება, იოლი არაა 0:5-ს რომ აგებ, მაგრამ ჩვენც ხომ წავაგეთ აგვისტოში „მანჩესტერთან“ 0:4, ოღონდ ხალხის დაშავება არ დაგვიწყია. სათქმელია, რომ ერიკ კანტონა „კრისტალ პალასთან“ შეხვედრისას მომხდარი, გახმაურებული, ძველი ინციდენტის შემდეგ (გულშემატკივარი გალახა) მოედნიდან არ გაუგდიათ. იმავე მატჩის შემდეგ „ნიუკასლის“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავმა ალან შირერმა განაცხადა, მჯერა, ვინც „მანჩესტერ იუნაიტედს“ საბოლოოდ გაასწრებს, ჩემპიონი იქნებაო.

ინგლისელ ტრევორ სინკლერზე პრემიერლიგაში დიდი ტაციობაა. სინკლერი ამჟამად „ქუინზ პარკში“ თამაშობს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებს ტრანსფერის წერილობითი მოთხოვნა დაუდო მაგიდაზე. მის გადასაბირებლად ყველაზე მეტად „ტოტენჰემ ჰოტსპური“ აქტიურობს, რომელსაც ადრე „ქუინზ პარკმა“ უარი შეუთვალა. „ტოტენჰემის“ გარდა ფორვარდის ყიდვა სურს „ევერტონსა“ და „ლიდს იუნაიტედს“. „ტოტენჰემს“ „მონაკოდან“ ემნუელ პეტის შეძენაც სურს.

ინგლისის ნაკრების 1966 წლის ლეგენდარული გუნდის წევრმა, საქვეყნოდ ცნობილმა ჯეკ ჩარლტონმა გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელშიც გულახდილად განაცხადა, რომ თავისად ორად ორ გუნდს თვლის. პირველია „ნიუკასლი“, სადაც, ქალაქიდან 29 კილომეტრში, სოფელ ეშინგტონში 61 წლის წინ დაიბადა, მეორე კი ირლანდიის ნაკრები, რომელსაც 93 შეხვედრაში უხელმძღვანელა. ამრიგად გაირკვა, რომ ჯეკ ჩარლტონი თავის გუნდად არ თვლის ინგლისის ნაკრებს, რომელთან ერთადაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ირლანდიელთა მწვრთნელად მისი მუშაობა (მით უმეტეს რომ ეროვნებით ინგლისელია) ისე შეფასდა, რომ თავად რომის პაპმა იოანე — პავლე მეორემ, თავის დროზე ნამდვილი ბოსი უწოდა.

ესპანეთში მე-8 ტურის ბოლო შეხვედრაში „ხიხონმა“ და „სევილიამ“ 1:1 ითამაშეს. ანგარიში სევილიელმა ბილესტამ მე-3 წუთზე გახსნა, მე-60-ზე გომესმა გაათანაბრა. მე-9 ტურის პირველი შეხვედრა კი სამშაბათს გაიმართა. მადრიდის „რეალმა“ სტუმრად სძლია სარაგოსას 2:1. ანგარიში მე-10 წუთზე, პენალტით, პრედრაგ მიატოვიჩმა გახსნა. ცოტა ხანში მსაჯმა სარაგოსელი ვლადისლავ რადიმოვი გააძევა მოედნიდან. მე-15 წუთზე ხორვატმა დავორ შუკერმა სტუმართა სასარგებლოდ გაზარდა ანგარიში, მაგრამ 37-ზე გუსტავო პოიეტმა სხვაობა შეამცირა.

გერმანიის თასის მერვედფინალში „კარლსრუეს“ მოყვარულებმა 0:1 წააგეს „ბოხუმთან“, „მიუნხენი“ შინ დამარცხდა „ჰამბურგთან“ 1:2, „ზანქტ პაულიმ“ „უნტერჰახინგს“ 1:0 მოუგო, ხოლო „ფრაიბურგმა“ „მეპენს“ სძლია 2:1. მეორე ბუნდესლიგის მე-11 ტურის ბოლო შეხვედრა „ფორტუნა კიოლნსა“ და „კაიზერსლაუტერნს“ შორის დამთავრდა უგოლოდ — 0:0.

ინგლისის ლიგის თასზე: ბლექბერნი — სტოკპორტი 0:1, ბოლტონი — ჩელსი 2:1, გილინგემი — ქოვენტრი 2:2, იფსვიჩი — კრისტალ პალასი 4:1, პორტ ველი — ოქსფორდი 0:0, უიმბლდონი — ლუტონი 1:1, იორკი — ლესტერი 0:2.

შოტლანდიის თასის ნახევარფინალში „დანფერმლაინმა“ შინ წააგო „რეინჯერსთან“ 1:6.

ჰოლანდიაში მე-12 ტურის პირველ შეხვედრაში „უტრეხტმა“ შინ ვერ მოუგო „ვილემ II ტილბურგს“ — 0:0.

პოლონეთში მე-13 ტური „ვიძევის“ მიერ „გურნიკის“ ძლევით დაიწყო — 3:0.

საბერძნეთში მე-5 ტურის ბოლო მატჩში თემურ ქეცბაიას აეკ-მა სტუმრად დაამარცხა კალამატა 3:0.

იტალიაში — „კალიარის“ ყოფილი მწვრთნელი კარლო მაცონე სამშაბათს გუნდს დაუბრუნდა. მან შეცვალა ურუგვაელი გრეგორიო პერესი. მაცონე გასულ სეზონში „რომაში“ მუშაობდა, საიდანაც მაისში დაითხოვეს. რაც შეეხება „რეჯანას“ და „მილანის“ სათასო შეხვედრას, იგი წუხელ რეჯოდან 70 კილომეტრში, კრემონაში უნდა გამართულიყო. მიზეზი ის გახლავთ, რომ წინა კვირაში იტალიის ჩრდილოეთში მომხდარმა 4,8 ბალიანმა მიწისძვრამ ბევრი წვრილმანი დაზიანება გამოიწვია. დაზიანდა რეჯოს სტადიონიც, რომლის საფუძვლიანი შემოწმება ჯერ ვერ მოასწრო.

არგენტინელი სუპერვარსკვლავი დიეგო მარადონა ახალ შარში გაეხვია. დააპატიმრეს მისი მენეჯერი 49 წლის გილერმო კოპოლა, რომელსაც ნარკომაფიის წევრობა ბრალდება. სამშაბათს, სახელმწიფო მოსამართლემ ერნან ბერნასკონიმ განაცხადა, რომ კოპოლას აღიარებით, პოლიციის რეიდამდე ცოტა ხნით ადრე, იგი და მარადონა სამ ქალთან ერთად ბუენოს-აირესის მდიდრულ ბინაში ნებივრობდნენ. ჩხრეკისას სათავსოში ნახევარი კილოგრამი კოკაინი იპოვნეს. კოპოლამ აღიარა, რომ ნარკომანია, მაგრამ კოკაინზე თქვა გამიზნულად ჩამიდესო. თუ გადამყიდველობა დაუმტკიცდა, მენეჯერს 10 წლით აღუკვეთავენ თავისუფლებას. აღსანიშნავია, რომ კოპოლა პრეზიდენტის, კარლოს მენემის პირადი მდივნის, რამონ ერნანდესის ახლო მეგობარია. პოლიციამ განაცხადა, რომ იგი გასულ ზაფხულს არგენტინის ატლანტიკის სანაპიროზე ნარკოტიკების ვაჭრობით ფრიად ითხვრიდა ხელს. იქ, სადაც მარადონა მთავრობის მიერ დაფინანსებულ ანტინარკოტიკულ კამპანიას ხელმძღვანელობდა. იმავე საქმეზე დააპატიმრეს მარადონას ცოლის ძმა გაბრიელ ესპოზიტო და ყოფილი არგენტინელი ფეხბურთელი ალბერტო ტარანტინი.

## ჩამოვა გასქოინი თბილისში?



გლენ ჰოდლმა პოლ გესქოინს დაურეკა, მაგრამ საუბრის შესახებ საქვეყნოდ რაიმეს თქმა არ ისურვა. მთავარი კითხვა უპასუხოდ დარჩა. წამოიყვანს ნაკრების მწვრთნელი „გლაზგო რეინჯერსის“ შერეკილ ვარსკვლავს თბილისში, საქართველოს წინააღმდეგ სათამაშოდ? ეს აინტერესებდათ ინგლისელ ჟურნალისტებს, მაგრამ ცნობისწადილადვე დაურჩათ.

გაზას ნაკრებში გამოძახება არგამოძახების საკითხი ამსტერდამის მერე წარმოიშვა. ჩემპიონთა ლიგის თამაშში „აიაქსსა“ და „რეინჯერსს“ შორის, გესქოინმა თავი ვერ მოთოკა, მეტოქეს კრივი დაუპირა და მოედნიდან გააძევეს. შემდეგ, შოტლანდიის ერთ სასტუმროში მისი ცოლი ნახეს დალილავებული. ეტყობა ჯავრი მასზე იყარა. ამან აღაშფოთა ჰოდლი, რომელსაც ინგლისის ეროვნულ გუნდში გაწონასწორებული [illegible] ფსიქიკის ხალხი [illegible] სურს.

მწვრთნელმა თუმც მისი და ფეხბურთელის საუბარზე სიტყვაც არ თქვა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარესთან კეით უაიზმენთან შეხვედრის თაობაზე არაფერი დამალა. უაიზმენი და ჰოდლი შეხვედრიან ერთმანეთს, ზემოთქმული გახმაურებული ამბები გაურჩევიათ და კვირის ბოლოსთვის კიდევ ერთი შეხვედრა დაუგეგმავთ.

ცნობილი ჯეკ ჩარლტონის აზრით კი, გაზას მიერ მოწყობილ აყალმაყალს მნიშვნელობა არ აქვს, იგი მაინც უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში. ჩარლტონი ის მწვრთნელია, რომელმაც პოლ გესქოინი პირველად აიყვანა გუნდში. მაშინ იგი „ნიუკასლს“ ხელმძღვანელობდა და კვირაში 200 გირვანქიან ხელფასად ყმაწვილი პროფესიონალთა მარაქაში გარია. ჩარლტონი კარგად იცნობს გესქოინს, იცის მოთამაშის ავი ზნეცა და სიკეთეც. მისი თქმით პოლს შეუძლია პაბში დაუფიქრებლად, ყველა დაპატიჟოს სასმელზე, მაშინ როცა სხვები იქ დასახარჯ 100 გირვანქას შავი დღისთვის შეინახავენ.

— მე რომ ვიყო ნაკრების მწვრთნელი, გესქოინს გარეთ არ დავტოვებდი. საკუთარი ცხვირის მოჭრა კარგს არაფერს მოიტანს. თუ მოთამაშე გუნდის სისხლხორცეული ნაწილია, იგი არ უნდა მოიგლიჯო. არის რაღაც, რისი დაშვებაც შეიძლება, მაგრამ გესქოინის მოკვეთა დაუშვებელია — თქვა ჩარლტონმა.

ცხადია საკითხი ჯერ არ ამოწურულა. გლენ ჰოდლი გესქოინთან და „რეინჯერსის“ მწვრთნელ უოლტერ სმიტთან საგანგებო საუბარს აპირებს. როგორც ჩანს „გაზას საქმე“ ასე, ერთ კვირაში გადაწყდება.

## პორტუგალია

### დერბი პორტუში

**პორტუ 1:0 ბოავიშტა**

**ბოავიშტა:** ალფრედო, პაულუ სოუზა, ტავარეში, სერჟიო დუარტე, ლიტოსი, ჟაიმე ალვეში (ჰელდერი 36), ნუნუ გომეში, პედრო ემანუელი, ისაიაში (ჯიმი 55), ლატაპი, მარიო სილვა (მარტელინო 86)
**გოლი:** ზახოვიჩი (27)
**გაფრთხილება:** პაულუ სოუზა, პედრო ემანუელი, მარიო სილვა
**გაძევება:** სერჟიო დუარტე (27)

ქვეყნის ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ჩვენი მეტოქე „გასვლით“ მატჩს ატარებდა საკუთარ ქალაქში. თბილისისა არ იყოს, „ბოავიშტამ“ თავიდანვე უხეშობა დაიწყო განსაკუთრებით ყოფილ თანაგუნდელზე. ბრაზილიელ არტურზე ნადირობდნენ, თითქმის ყოველ წუთს რომ აწიოკებდა ბოავიშტელთა დაცვას. არტურის ჩეხვაში პედრო ემანუელი გამოირჩეოდა და რატომ არ გააძევა იგი მსაჯმა, ჩემთვის გამოცანად დარჩა. არტურის მორიგი წაქცევისთვის მიღებული ყვითელი ბარათის შემდეგ ოციოდ წამში პედრო ემანუელმა ისე მოცელა დაუდეგარი ბრაზილიელი, წითელი ბარათი კი არა, ალბათ, ფეხბურთის თამაშის საერთოდ აკრძალვა უფრო უპრიანი იქნებოდა, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ ჯარიმის დანიშვნა იკმარა. ემანუელს ჩინებულად აუბა მხარი მარიო სილვამ, რომელიც არბიტრმა ყვითელით „დასაჯა“. 27-ე წუთზე „პორტუს“ იუგოსლაველმა ზახოვიჩმა ბრაზილიელ ჟარდელთან კედელი გაითამაშა, ჟარდელმა ჩააწოდა და ზახოვიჩმა თავით მარჯვენა კუთხეში შეუგდო ალფრედოს. ზახოვიჩმა ისეთი პოზიციიდან შეაგდო, უთუოდ წინა ცენტრალურ მცველებს რომ უნდა დაეზღვიათ ეს ზონა, მაგრამ ლიტოსიც და პედრო ემანუელი ვერ აღმოჩნდნენ საჭირო ადგილზე. გოლის მერე ერთ-ერთი საყრდენი ნახევარმცველი, სერჟიო დუარტე რატომღაც მსაჯთან წაკინკლავდა და ამანაც მაშინვე წითელი უჩვენა. აქედან მოყოლებული 51-ე წუთამდე „ბოავიშტა“ ათი კაცით ეთამაშებოდა „პორტუს“ და, ფაქტობრივად, თავს იცავდა, მაგრამ ამ წუთზე ჟაიმე ალვეშის ნაცვლად შესული მეტად აქტიური ჰელდერი მასპინძელმა ზაროსომ მოცელა და მსაჯმა იგი სერჟიო დუარტეს გზას გაუყენა. ორიოდ წუთში ემოციურმა ზორან ფილიპოვიჩმა ლიბერო ისაიაშის ნაცვლად შავი ჯიმი შეიყვანა და თამაშის სადავეები „ბოავიშტამ“ იგდო ხელთ, თუმცა ამაში ჯიმის დამსახურება ყველაზე ნაკლები გახლდათ. უპრალოდ, ჯიმიმ მასპინძელთა კიდევ ერთი მცველი დააკავა, რამაც სტუმრებს, ასე თუ ისე, ხელ-ფეხი გაუხსნა. მიუხედავად დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, „ბოავიშტამ“ საგოლე მომენტი მთელი თამაშის განმავლობაში ერთადერთხელ შექმნა, ისიც პირველ ტაიმში, როცა ლატაპიმ ოცდაათმეტრიანი დიაგონალური ფლანგური პასით მარიო სილვა „პორტუს“ მეკარე ჰილარიოსთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მეკარემ კარგად დაფარა ლარტყმა და სილვას სალტო-მორტალე გააჩერა. მეორე ტაიმში ბოავიშტელთა გააქტიურების კვალობაზე მათ დაცვას ბზარები გაუჩნდა, ალფრედოს ბევრჯერ შეცდა, მაგრამ დრულოვიჩმა ძელს გაარტყა, ჟარდელმა ცუდად დაჰკრა თავი, ველტმა საგოლე მომენტი გააცუდა, ჟორჟე კოშტამ კი ხარიხას გადააცილა. მანამდე ჟარდელმა ძელსაც გაარტყა. თამაშის ბოლოს ნუნუს თავში ჩასცხეს, იმან იკოტრიალა, სანამ ელექტრომობილით არ წაასვენეს, ჯიმიმ კიდევ ჩაიდინა სისულელეები და მატჩიც დამთავრდა...

**მამუკა კვარაცხელია**

მე-7 ტურის დანარჩენი მატჩები: ბენფიკა — ამადორა 2:0, სეტუბალი — ლეირია 4:1, ჟილ ვისენტე — შავეში 3:0, ბრაგა — სალგეიროში 0:0, ლეცა — ესპინიუ 1:1, მარიტიმუ — ფარენსე 1:0, ბელენენსეში — რიო ავე 2:1, გიმარაეში — სპორტინგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 7 | 6 | 1 | 0 | 17:2 | 19 |
| პორტუ | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| სპორტინგი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| ესპინიუ | 7 | 4 | 2 | 1 | 9:4 | 14 |
| ფარენსე | 7 | 4 | 2 | 1 | 7:4 | 13 |
| ბრაგა | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 12 |
| სეტუბალი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:9 | 12 |
| მარიტიმუ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ბოავიშტა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ამადორა | 7 | 2 | 2 | 3 | 3:5 | 8 |
| შავეში | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| ლეცა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:5 | 8 |
| გიმარაეში | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| ბელენენსეში | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| სალგეიროში | 7 | 1 | 2 | 4 | 4:7 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 1 | 1 | 5 | 7:15 | 4 |
| ლეირია | 7 | 1 | 0 | 6 | 3:16 | 3 |
| რიუ ავე | 7 | 0 | 2 | 5 | 6:14 | 2 |

## რუსეთი

### XXXII ტური

ურალმაში — ლოკომოტივი 2:1, ტორპედო — სპარტაკი 3:4, ალანია — ლადა 3:0, კამაზი — დინამო 3:2, როსტსელმაში — კრილია 1:0, ჟემჩუჟინა — ტექსტილშჩიკი 1:1, ბალტიკა — ცსკა 2:1, ჩერნომორეცი — როტორი 0:0

რუსეთის ჩემპიონატში ვოლგოგრადის „როტორისა“ და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ თამაშში თანამსაჯმა ვოლგოგრადელებს გოლი არ ჩაუთვალა. ჩემპიონობის მაძიებლები აღშფოთდნენ და ამტკიცებენ, რომ ლაინსმენი შეხვედრას მთვრალი სჯიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 32 | 20 | 8 | 4 | 67:32 | 68 |
| როტორი | 32 | 20 | 7 | 5 | 56:24 | 67 |
| ალანია | 32 | 20 | 6 | 6 | 59:34 | 66 |
| ცსკა | 32 | 19 | 6 | 7 | 55:31 | 63 |
| დინამო | 32 | 18 | 7 | 7 | 53:33 | 61 |
| ლოკომოტივი | 32 | 14 | 10 | 8 | 43:29 | 52 |
| ზენიტი | 32 | 13 | 4 | 15 | 31:34 | 43 |
| ნოვგოროდი | 32 | 12 | 6 | 14 | 34:46 | 42 |
| კრილია | 32 | 11 | 8 | 13 | 28:36 | 41 |
| ტორპედო | 32 | 10 | 11 | 11 | 39:44 | 41 |
| როსტსელმაში | 32 | 11 | 7 | 14 | 53:54 | 40 |
| ბალტიკა | 32 | 10 | 10 | 12 | 35:34 | 40 |
| ჟემჩუჟინა | 32 | 10 | 5 | 17 | 35:51 | 35 |
| ჩერნომორეცი | 32 | 9 | 6 | 17 | 31:49 | 33 |
| ურალმაში | 32 | 8 | 9 | 15 | 37:53 | 33 |
| კამაზი | 32 | 8 | 6 | 18 | 36:52 | 30 |
| ტექსტილშჩიკი | 32 | 4 | 12 | 16 | 24:42 | 24 |
| ლადა | 32 | 4 | 6 | 22 | 17:55 | 19 |

ძიუდო

# გმადლობთ ბერდია! ყოჩაღ, შოთა!

„ბელმა ცუდი წილი გვარგუნა. პირველსავე შეხვედრაში საქართველოს შევხვდით — გუნდს, რომელსაც ევროპის სამი ჩემპიონი ჰყავს და ძიუდოს უდიდესი ტრადიციები აქვს. ცხადი იყო, თუ ქართველებს მოვუგებდით, ჩემპიონები გავხდებოდით, რადგან დანარჩენი მეტოქეების — რუსეთისა და გერმანიის შედარება საქართველოსთან არც კი შეიძლება“ — განაცხადა ევრო-გუნდურის დასკვნით პრეს-კონფერენციაზე საფრანგეთის მთავარმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფაბიენ კანიუმ.

დავიწყოთ იქიდან, რომ ევრო-გუნდურზე წასვლას საერთოდ არ ვაპირებდით — ფული არ იყო. ძიუდოისტებიც, ოლიმპიადის მერე, ფაქტიურად, დარბაზში არ შესულიყვნენ. ამიტომ ევრო-გუნდურის საორგანიზაციო კომიტეტში მონაწილეობის დასტური არც კი მიგვიცია. მაგრამ, შეჯიბრებამდე დაახლოებით ოცი დღით ადრე ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარემ ბერდია გუგავამ თქვა, ფულს მე ვიშოვი, ბიჭები მოემზადნონ და არა მგონია, ევროპაში შევრცხვეთო. ბატონმა ბერდიამ მართლაც დიდი გარჯა-წვალების შემდეგ, ფინანსური საკითხი მოაგვარა, ხოლო ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა უმცირეს დროში ფორსირებულად მოამზადა გუნდი. ამდენად, ჩვენი ნაკრების წარმატების სულისჩამდგმელები სწორედ ეს პიროვნებები არიან და სათაურში გატანილი ფრაზაც, ვგონებ, საჯსებით ამართლებს.

## შეგვეძლო ჩემპიონობა?

დიახაც, შეგვეძლო, საფრანგეთთან სულ ერთი მისხალი დაგვაკლდა. შემდეგ მოდიოდა რუსეთი, რომელსაც, მერწმუნეთ, გადავუვლიდით და გერმანია, რომელმაც ფინალი ფრანგებთან სამარცხვინოდ 0:7 წააგო. მაგრამ, ჩვენების ჩემპიონობა ძიუდოს ლოგიკის დარღვევა იქნებოდა. არა, ჩვენი ძიუდოისტები მაგრები არიან, ისინი შესაძლებელზე მეტსაც კი აკეთებენ, მაგრამ...

უკრაინასთან შეხვედრის წინ ბიჭებს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ დარიგება, რადგან ეს იყო სანუგეშო წრის პირველი მატჩი. მაგრამ მთავარ მწვრთნელს ამისთვის არ ეცალა. ჩვენს გუნდს ლურჯი კიმონოებით უნდა ეჭიდავა. ცხადია, ისინი არ გვქონდა და ცალკე ხაბარელი და ცალკე გუგავა სხვადასხვა გუნდებში დარბოდნენ — თქვენი ჭირიმე, საჭიდაოდ ვერ გაუღივართ და ეგებ ლურჯი კიმონოები გვათხოვოთო. ამ დროს, საფრანგეთს, მაგალითად კიმონოების ოთხი კომპლექტი ჰქონდა: ორ-ორი სავარჯიშო, ამდენივე — საშეჯიბრო. კი მაგრამ, საფრანგეთს რალას ედრებიო, იტყვის მავანი. არ ვედრები, მაგრამ თუკი მისებრ, წარმატებას გინდა მიაღწიო, გუნდი შიშველტიტველი მაინც არ უნდა გაამგზავრო შეჯიბრებაზე. ის გუნდი, რომლის მთავარი მწვრთნელიც ასეთი აბსურდული პრობლემების მოსაგვარებლად წუხდება, ჩემპიონი ვერ უნდა გახდეს.

არც უპატრონოს გამარჯვება გაუგია ვინმეს. სამწუხაროდ, ქართველებს, ვისაც ძიუდოს სამყარო ანგარიშს გვიწევს, იმავე სამყაროში უპატრონოსა და ყარიბის რეპუტაცია აქვთ. საუბარია მსაჯობაზე და საერთაშორისო სტრუქტურებში ჩვენების წარმომადგენლობითობაზე.

ბოლოდან დავიწყოთ. საქართველოს არა ჰყავს კაცი, რომელიც არა თუ საერთაშორისო ფედერაციის საბჭოში, არამედ მასთან სიახლოვეს მაინც იქნება. ამის ნათელი დადასტურება იყო კენჭისყრა, სადაც აბსოლუტურად უმწეოები და განწირულები ვიყავით. რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სანამ წილს ყრიდნენ, მოუბრუნდა ხაბარელს და უთხრა: „თქვენ ჯერ წინასწარ წრეს გაჭიდავებენ, მერე კი ან ჩვენ, ან საფრანგეთს შეგახვედრებენ“. როცა მართლა ასე მოხდა, ხაბარელმა, ცხადია, გაიკვირვა და საიდან იცოდიო, ჰკითხა კალინს. ამან მიუგო: „შოთა, გენაცვალე, შენ იმდენი ხნით იყავი ჩამოშორებული ძიუდოს, რომ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ დაიხვეწა საზიზღრობების კეთების მეთოდები“.

წილი კი კომპიუტერმა ყარა. უფრო ზუსტად, ევროპის ძიუდოს ფედერაციის სომხური წარმოშობის ფრანგმა მოხელემ კომპიუტერში შეიყვანა ყველა გუნდის მონაცემები. რამდენიმე წამში მანქანამ პასუხი, ანუ კენჭისყრის ბადე ამობეჭდა. კარგია, როცა ტექნიკური პროგრესი სპორტშიც იჭრება, მაგრამ კომპიუტერი, ბოლოს და ბოლოს, ადამიანის გაკეთებულია, ასე რომ, ერთი სასურველი პროგრამა და პასუხიც შენთვის სასურველი იქნება. მაგრამ, ვერავინ დამაჯერებს, რომ იმ კომპიუტერზე მართლა რამე პროგრამა მუშაობს. უბრალოდ, 4-5 ქვეყნის წარმომადგენლები დასხდნენ, წინასწარ ყველაფერი შეადგინეს და კომპიუტერსაც პასუხი ფორმალურად ამოაღებინეს. ჰოდა, ამათი ჯობნა გვინდა და შეგვიძლია? ამ ქვეყნებში საქართველო არ არის და რაც უფრო დიდხანს არ იქნება, მით უფრო მეტს დავკარგავთ.

ახლა მსაჯობაზეც. ნესტორ ხერგიანმა იმისთანა ვაზარიზე დაავდო ფრანგი იასინ დუმა, რომ დარბაზში მყოფმა ძიუდოს კორიფეებმა (აქამდეც მივალთ) აღტაცება ვერ დაფარეს. მსაჯებმა კი წამსვე გაიაზრეს, რომ ფრანგებთან მატჩში საქართველოს დაწინაურება ამ უკანასკნელს ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოუტანდა. ამიტომ, გდება არ შეაფასეს, შეხვედრა ფრედ, ჰიკევაკეზე დაასრულეს და თან ქართველებსაც აგრძნობინეს, ნამეტანს ნუ გაიქაჩებით, იცოდეთ, ფხიზლად ვართო. აბა, როგორია, ერთის მაგივრად ოთხ კაცს ეჭიდავო. საკმარისია, ქართველებს ორი-სამი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გვყავდეს, რომ ასე აშკარად კი არა, საერთოდ ვერ დაგვჩაგრავენ. ჩვენი შეხვედრის მსაჯს ეცოდინება, რომ ცოტა ხანში მისი ქვეყნის მოჭიდავის შეხვედრას ქართველი იმსაჯებს და თუ ბევრს მიჰქარავს, ზურგსაც უკლებლივ დაუბრუნდება.

და მაინც, ევრო-გუნდურზე მესამე ადგილის დაკავება დღევანდელი ქართული ძიუდოსთვის უდიდესი წარმატებაა. ოღონდ, ეს ენთუზიაზმის და ბიჭების თავგანწირვის შედეგია. როდემდე იქნება ეს საკმარისი, არავინ იცის. ფაქტი კი ერთია: თუ ჩვენს ძიუდოისტებს მომზადების იდეალური თუ არა, ნორმალური პირობები მაინც ექნებათ, მათთვის ყველაზე დიდი შედეგებიც კი არ იქნება მიუწვდომელი. ევრო-გუნდურის ბრინჯაომ ერთი კარგი საქმეც გაგვიკეთა, რადგან

## მსოფლიო თასის საგზურიც მოვიპოვეთ

მსოფლიო თასიც გუნდური შეჯიბრებაა და გაისად ბრაზილიაში მოეწყობა. დებულების მიხედვით, ევრო-გუნდურის პრიზიორები ავტომატურად იღებენ მის საგზურს. ამდენად, მსოფლიო თასი უკვე ჩვენი მზადების განრიგში შეიძლება ჩავსვათ. გარდა ამისა, საქართველო, როგორც წლევანდელი ევრო-გუნდურის პრიზიორი, მომავალი წლის ანალოგიურ შეჯიბრებაზე განთესილი იქნება. სხვა თუ არაფერი, ეს იმას მაინც მოგვიტანს, რომ ერთი-ორ წრეს არცთუ ძლიერი მეტოქეების გვეყოლება.

### „ხაბარელი“ ხაბარელის თვალწინ... ჯემალ, ჩამოდი ჩვენთან... ხუბულური ვინმა იყო... „ნასტულა უძლიერესია“ — ენდეთ ქართველებს

„ეს ხომ შოთაა, ნუთუ ისევ მთავარ მწვრთნელად დაბრუნდა? რომ იცოდე, რამდენ ქვეყანას შეექმნება ამით პრობლემები!“ — თქვა ოლიმპიურმა და მსოფლიოს პრიზიორმა ბაშირ ვარაევმა, როცა ხაბარელს სასტუმროში მოჰკრა თვალი. ვარაევმა ძალიან კარგად იცის ხაბარელის ძალა, რადგან წლების განმავლობაში მისი მეტოქე იყო 78 კგ წონით კატეგორიაში. შემდეგ იყო ამ ორი დიდი მოჭიდავის თბილი შეხვედრა, მოგონებები, გახსენებები...

–რუსეთის ქალთა ნაკრები ჰოლანდიას ხვდებოდა. ერთმა რუსის გოგომ მეტოქეს ქამარში ხელი გადაავლო, მერე ფეხიდან აგლიჯა და იპონზე დაახეთქა. როცა ეს გოგო გარეთ გამოვიდა, მე ტატამის სიახლოვეს ვიდექი და გავიგონე მისი მწვრთნელის სიტყვები: „ამ ფანდს „ხაბარელი“ ჰქვია. მისი გამომგონებელი ახლა დარბაზში ზის და ალბათ კმაყოფილიც იქნება“.

–ევრო-გუნდურის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იგორ სიდორკევიჩი გახლდათ. ეს ახალგაზრდა, ენერგიული კაცი მოსვენებული არვის უნახავს და ამან შედეგიც გამოიღო: შეჯიბრება ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული.

ერთხელაც სიდორკევიჩი სასტუმროს ჰოლში მყოფ ქართველებს მოგვიახლოვდა და მობოდიშებით გვითხრა, ერთ კაცთან მოკითხვა რომ დავაბაროთ, თუ გადასცემთო. ცხადია, ჩვენც თავაზიანად დავთანხმდით. მაშინ სიდორკევიჩმა თქვა: „საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი ჯემალ მჭედლიშვილი იყო. ნიუ-იორკში ერთად გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები, თანაც, იქაურობა სულ მივლეწმოვლეწეთ. მომიკითხეთ ჯემალი, დიდი მოჭიდავე და უფრო დიდი პიროვნება. ჩემი სახელით სთხოვეთ, ორიოდ დღით მაინც ჩამოვიდეს სანკტ-პეტერბურგში. გარანტიას გაძლევთ, მთელი ქალაქი მას გულთბილად მიიღებს“.

–ევრო-გუნდურის პარალელურად პეტერბურგში ბანკირების კონგრესი ტარდებოდა. მსოფლიოს ყველაზე ფულიანი ხალხი ძიუდოისტებივით „პრიბალტიისკაიაში“ ცხოვრობდა. ერთ საღამოს მოგვიახლოვდა ჭაღარა ბანკირი და ჩვენს ფორმებზე „ჯორჯია“ რომ ამოიკითხა, გვკითხა, ქართველები თუ ხართო. იგი იტალიელ ფინანსისტად გაგვეცნო და პირდაპირ გვითხრა: „თქვენ გყავდათ გენიალური ძიუდოისტი თემურ ხუბულური. ძიუდოს დიდი ხანია ვუყურებ, მაგრამ ეგეთი სრულყოფილი მოჭიდავე არ მინახავს“. ამ კაცს ვინაობა ვკითხე, მაგრამ მომიგო, ჩემი სახელი არც თქვენ და არც ხუბულურს არაფერს გეტყვით, უბრალოდ, იცოდეთ, ჩემი სახით თემურს იტალიაში დიდი თაყვანისმცემელი ჰყავსო.

–სამწუხაროდ (ქართველებისთვის) ისეა, რომ სადღეისო მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტის ვინაობის დასადგენად პოლონელები და ფრანგები დავობენ. ალბათ სამართლიანადაც, რადგან პაველ ნასტულა და დავიდ დუიე აშკარა ლიდერები არიან. ეს დავა ევრო-გუნდურის ბანკეტზეც გაგრძელდა. მოდავეებმა ჩვენ, ქართველებს მოგვმართეს. ჩვენი სიმპათია კი უფრო ნასტულას მხარესაა, რაც ვთქვით კიდეც. ამის გამგონე პოლონელებმა ამაყად მიმართეს ფრანგებს, რადგან ქართველები ამბობენ, რომ ნასტულა უძლიერესია, ესე იგი, მართლაც ასეაო.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ დაგარწმუნოთ, როგორ პატივს სცემს ძიუდოს სამყარო ქართველებს. ამ ბოლო დროს ბევრ რამეში შევირცხვინეთ თავი და ავტორიტეტი დავკარგეთ, მაგრამ ძიუდოში, მადლობა ღმერთს, დიდ ანგარიშს გვიწევენ და გვაფასებენ. თუმცა, ზოგიერთი ვერ ხედავს ქართველების სიკეთესა და კეთილგანწყობას, ამისათვის კი ქართველებისგან იმდენი მიიღო ცხვირ-პირში, ვგონებ, ახლაც საფენებს იდებს იარების მოსაშუშებლად...

ცალკე თემაა პეტერბურგელი გულშემატკივარი. „პეტერბურსკის“ ჭერქვეშ განუწყვეტლივ ისმოდა ქართველთა გამამხნევებელი შეძახილები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხალხი ქართველებს უფრო ქომაგობდა, ვიდრე რუსებს. საერთოდ, პეტერბურგელთა სითბოს (მოსკოველთაგან განსხვავებით) ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. ხუთი დღე ისე გაილია, არც ქუჩაში, არც სასტუმროში, არც დარბაზში და არც სხვაგან ჩვენთვის ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამთ.

## ქართველები უცხოეთში

ხუთმა ქართველმა სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზა. რამაზ ჩოჩიშვილის შესახებ წინა „სარბიელში“ სწერია და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რუსეთის ქალთა გუნდში თეა დონღუზაშვილი ირიცხებოდა. მართალია, არ უჭიდავია, მაგრამ შემადგენლობაში იყო და ევრო-გუნდურის ბრინჯაოს მედალიც კანონიერად მიიღო.

როცა საქართველო თურქეთს ხვდებოდა, მეორე ტატამზე რუსეთ-უკრაინის მატჩი მიმდინარეობდა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ერთმანეთს ოთხი ქართველი ეჭიდავებოდა. გიორგი ჭაბუკაშვილი (საქართველო) ირაკლი უზნაძეს (თურქეთი) ერკინებოდა, ხოლო ანატოლი ავაზნელი (რუსეთი) — ილია ჩიმჩიურს (უკრაინა). როგორც



ალექსი დავითაშვილი, რომლის იპონმაც ჩვენს ნაკრებს ევროგუნდურის ბრინჯაო მოუტანა

ირაკლი უზნაძემ გვითხრა, მას მალე უმთავრდება კონტრაქტი და, თუ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელები მის დახმარებას საჭიროდ ჩათვლიან, საქართველოში დაბრუნდება.

**მერაბ რატიშვილი**
**სანკტ-პეტერბურგი — თბილისი**

### ტექნიკური შედეგები

**ევროპის გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში**
**სანკტ-პეტერბურგი. 19-20 X**
**ქალები**

1. საფრანგეთი (სერვენ ბრუნო, სიუზი პალანშე, მაგალი ბატო, კარინ პეტი, იზაბელ ბორელი, კარინ ვალე, ჟელ პოტე)
2. პოლონეთი (მალგოჟატა როშკოვსკა, ლარისა კრაუზე, ბეატა კუხარევსკა, ირენა ტოკარჟი, ანეტა შჩეპანსკა, ანა კორობა, მარტა კოლოდიეჟოზუკი)
3. რუსეთი (ლიუბოვ ბრულეტოვა, ოლგა კოსკინა, ზულფია გარიპოვა, ელენა პეტროვა, ელაენა კოტელნიკოვა, სვეტლანა გალიანტი, ირინა როდინა, ნატალია არანოვსკაია, თეა დონღუზაშვილი)
3. ჰოლანდია (ტამარა მეიერი, სილვია ვინტერსი, ჯესიკა გალი, ნენსი ვან სტოკუმი, კლაუდია ზვიერსი, კარინ კინპუზი, მონიკ ვან დერ ლეე)

## დიდებული დიდუბეში

ქართულის მოჭიდავეთა ბევრი შეჯიბრება მინახავს, მაგრამ ამასწინათ გამართულს გამორჩეულად სასიამოვნო ელფერი დაჰკრავდა.

ჯერ იყო და, საშეჯიბროდ ყველასთვის კარგად ნაცნობი და ხალხმრავალი ადგილი — აკაკი წერეთლის სახელობის სკვერი შეერჩიათ, მერე ის, რომ მხოლოდ დიდუბელი ფალავნები ჭიდაობდნენ (რა ხანია, თბილისის რომელიმე ცალკე რაიონის მოჭიდავეთა ტურნირი არ გვინახავს!). სხვა ეშხი ჰქონდა ქართულ ხალხურ სიმღერასაც სწორედაც რომ ქართული ხალხური ჭიდაობის წინ...

სტუმრებიც საპატიონი გახლდნენ: რაიონის გამგებელი ომარ კიზილაძე და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკო იაშვილი, ცნობილი ხელოვანმეცნიერნი რეზო ესაძე და ვახუშტი კოტეტიშვილი, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე. ისინი გულთბილად მიესალმნენ დამსწრეთ, რომელთაგან არაერთს, საკმაო ხალხმრავლობის გამო, ხეებზე შეცოცება მოუხდა. ფალავნებიც, აბა, რატომ შეირცხვენდნენ თავს და ყველაფერი გაიღეს, რაც ეხერხებოდათ და ელონებოდათ. თავი გამოიჩინეს მამუკა ალიბეგაშვილმა (60 კგ), ზურაბ მუზაშვილმა (70 კგ), გიორგი წმინდაშვილმა (80 კგ), ზ. გულბიანმა (90 კგ) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე წონა). გამარჯვებულებმა მიიღეს პრიზები, საგანგებო ჯილდოები გადაეცათ გოდერძი მახარაშვილს (ყველაზე სწრაფი მოგებისთვის) და გიორგი წმინდაშვილს (ილეთის ყველაზე ლამაზად შესრულებისთვის).

გასახარი იყო იმის გაგებაც, რომ მოჭიდავეებს უქომაგა ზოგმა ორგანიზაციამ, რომლებმაც გარკვეული თანხა გაიღეს ჯილდოებისთვის (რაიონის გამგეობა, სპორტკომიტეტი, ავეჯის სახლი, 41-ე სამარშრუტო ტაქსის მძღოლების კოლექტივი).

„აქ არავინ დამარცხებულა, ყველანი გამარჯვებული ხართ, რადგან ამ ლამაზ ღონისძიებაში მიიღეთ მონაწილეობა!“ ასე მიმართა ბოლოს დამსწრეთ ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა.

**ტრისტან მაჭარაშვილი,**
**სპორტის აკადემიის სპორტული ჟურნალისტიკის სპეციალობის III კურსის სტუდენტი**


## გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა — სკ“-ს. თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს.

„ელიტა — სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


კალათბურთი

## ექვსი ვნახეთ, ექვსიც ვნახოთ

**მე-4 ტური. ვითა — ასკ 129:75, დინამო-2 — კაქტუსი 79:60, სდასუ — მაკაბი 101:85.**

ამ ტურში [illegible] მოხდარა. მაგრამ [illegible] უწუმ გამორთვას გაუკვირვებია, დენის „გრაფიკულობას“ სახლშიც შეჩვეულები ვართ.

„ვითამ“ არმიის სპორტულ კლუბთან სარეკორდო შედეგებს მიაღწია: ყველაზე მეტი ქულა — 129 და ყველაზე დიდი სხვაობა — 54.

უფრო დაძაბულ შეხვედრას ელოდნენ „კაქტუსსა“ და „დინამო-2“-ის ახალგაზრდულ გუნდებს შორის, მაგრამ დინამოელებმა ადვილად დაამარცხეს მეტოქე.

სდასუმ კი ამ ტურამდე დაუმარცხებელი „მაკაბი“ დაამარცხა. მშვენივრად ითამაშა დავითულიანმა, რომელმაც გუნდს 39 ქულა შესძინა.

**მე-5 ტური. ვითა — მაკაბი 123:85, სდასუ — დინამო-2 85:76, კაქტუსი — ასკ 90:84.**

ბოლო ტურმა პირველი ჯგუფის გუნდები საბოლოოდ დაალაგა სიძლიერის მიხედვით. „ვითამ“, რომელმაც მთელი ტური ოთხი წამყვანი მოთამაშის — ნაცვლიშვილის, სანაძის, შენგელიასა და დადიანის გარეშე ჩაატარა, ყველა მეტოქე აშკარად დაჯაბნა. ერთადერთი გუნდი, ვინც ასე თუ ისე გაუძალიანდა, იყო სდასუ, რომელმაც ჩემპიონს ტაიმნახევარი გაუძლო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მომენტშიც არავის შეჰპარვია ეჭვი „ვითას“ გამარჯვებაში. მოკლედ, ვითელები მთელი ორი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე.

სასიამოვნო სიურპრიზია სდასუ-ს გაძლიერება, რომელსაც მოთამაშე-მწვრთნელად სახელოვანი ნიკოლოზ დერიუგინი ჰყავს (წინა „სარბიელში“ შეცდომით გაუწყეთ, რომ ამ გუნდის მწვრთნელი ინწკირველია. თურმე, ბატონი ლევანი დერიუგინს მხოლოდ ეხმარებოდა, რადგან კოლია მოედანზე იყო). გუნდს დერიუგინის გარდა დაემატნენ აბრამიძე და დავითულიანი, რომელთაც შესანიშნავად ითამაშეს წინა მატჩებში, მათ შორის „ვითასთანაც“. ამათ ემატებიან სდასუს ადრინდელი ლიდერები ჩუბინიძე და ეგუტია და გუნდიც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, მწვრთნელს სამუშაო, რა თქმა უნდა, ბევრი აქვს საიმისოდ, რომ სდასუმ ჩვენს ლიდერებს მეტნაკლებად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს.

„მაკაბიც“ უპრობლემოდ გავიდა მესამე ადგილზე, მომდევნო კი თითო-თითო ქულით ერთბაშად სამი გუნდი იყო.

„დინამო-2“-ის ფუნქცია ყველას კარგად მოგვეხსენებაო, ჩვენი ყურადღება კი განსაკუთრებით გვსურს შევაჩეროთ „კაქტუსზე“ — თამაზ ოქრუაშვილი მერამდენედ იწყებს თავიდან და მიუხედავად იმისა, რომ „კაქტუსმა“ მხოლოდ ერთი თამაში მოიგო, ის 15-17 წლის ბიჭები, გვჯერა, იტყვიან თავიანთ სათქმელს.

| | | | |
|---|---|---|---|
| ვითა | 5 | 606:367 | 5 |
| სდასუ | 5 | 478:435 | 4 |
| მაკაბი | 5 | 427:453 | 3 |
| ასკ | 5 | 404:471 | 1 |
| კაქტუსი | 5 | 391:420 | 1 |
| დინამო-2 | 5 | 358:417 | 1 |

დღეიდან ჩემპიონატში ჩაებმება მეორე ექვსეული, რომლის განრიგიც ასეთია:

24.10. დინამო — მერანი, აზოტი — იმერეთი, შევარდენი — კოლხა.
25.10. კოლხა — დინამო, მერანი — აზოტი, იმერეთი — შევარდენი.
26.10. დინამო — აზოტი, კოლხა — იმერეთი, შევარდენი — მერანი.
27.10. იმერეთი — დინამო, აზოტი — შევარდენი, მერანი — კოლხა.
28.10 იმერეთი — მერანი, დინამო — შევარდენი, კოლხა — აზოტი.

დასაწყისი 12, 13.30 15 საათზე.

ჩოგბურთი

## აკადემიური მეოთხედფინალები

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე საქართველოს პირველობა 32 ვაჟმა და 16 ქალმა დაიწყო. შეჯიბრებაში თითქმის ყველა უძლიერესი მონაწილეობს აკადემიის პატრონის ლელა მესხისა (რომელიც ლუქსემბურგშია საერთაშორისო ტურნირზე) და იმ ჩოგბურთელების გარდა, რომლებიც კარგა ხანია უცხოეთში გამოდიან (ლაბაძე, ლუარსაბიშვილი). გუშინ მეოთხედფინალების შემდეგ გამოვლინდა ოთხ-ოთხი საუკეთესო. ვაჟთა ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ვლადიმერ მარგალიტაძე — გიგი სამხარაძე და გივი კიკალეიშვილი — ირაკლი კუნჭულია. ქალებში — სოფიკო მანაგაძე — ვიქტორია ავილოვა, ნატო კაჭკაჭიშვილი — მარგალიტა ჩახნაშვილი.

მეოთხედფინალები:

**ქალები:** მანაგაძე — ესებუა 6:1, 6:2, ავილოვა — დოლიძე 3:6, 7:6, 6:4, კაჭკაჭიშვილი — ჟვანია 7:5, 6:1, ჩახნაშვილი — თუხარელი 6:4, 6:2.

**ვაჟები:** მარგალიტაძე — ენუქიძე 6:2, 6:2, სამხარაძე — ზედგინია 6:3, 7:5, კიკალეიშვილი — მიდელაშვილი 7:6, 4:6, 6:2, კუნჭულია — ციცვაძე 6:0, 6:4.

# მორჯღალოსანთა შემაგალითო გამარჯვების ექო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაც კვირას მეცნაურა

ქართველ მობურთალთა ეპოქალურ გამარჯვებას გასააზრებლად დრო სჭირდება. მე ამჯერად მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც ცინცხალ შთაბეჭდილებად დამირჩა სამი შვილის დედა-ქალს, რაგბზე შემთხვევიდან შემთხვევამდე რომ დაიარება. დავიწყებ კი იმის შეხსენებით, რომ როგორც უთქვამთ, თვით ხურდა ფულსაც ორი მხარე აქვსო.

### გასახარი

ამ დღეს ის იყო, რომ

— საზოგადოება ერთობ გულთბილად შეხვდა რუსეთის ნაკრებს და აფხაზეთის წამრთმევლი ღერჯავის ჰიმნს სტვენა კი არ აუტეხა, არამედ ტაში დაუკრა; არც თამაშის დროს დასცდენია ხალხს რუსების მიმართ უკადრისი რამ.

— გამოჩნდა ქართული რაგბის დიდი პოტენციალი. ჩვენს ბიჭებს წესიერი სავარჯიშო პირობები რომ ექნეთ, ალბათ უფრო ძლიერ გუნდებსაც დააყუმბარებენ. ეგებ ახლა მაინც გაიღონ წყალობა იმათ, ვისიც „ჯერ არს" და რაგბს არა თავშესაფრად, არამედ ბინად ერთხელ და სამუდამოდ დაუმტკიცონ ვაკის სტადიონი, რომელზეც ჩვენს მორაგბეთა უკლებლივ ყველა თაობას უთამაშია.

— თვალნათლივ დავინახეთ ისიც, თუ რა შეძლებია გუნდის (თუ გნებავთ, რაზმის) ერთსულოვნებასა და თავდადებას. ეს, თუ არა ვცდებით, სხვა, რაგბზე უფრო საარსებო საქმეში ჩაბმულ ქართველობასაც გამოადგება მისაბაძ მაგალითად.

— დამტკიცდა, რომ რაგბში საქმის მცოდნე მწვრთნელები გვყოლია. ხშირად გვსმენია სხვა ბურთაობების შესახებ მწერალთაგან, ________ბურთის ნაკრებს მოძღვარი რომ უვარგოდეს, ბევრად უკეთ ითამაშებდაო. რაგბი ამ მხრივ ოაზისია, რაკი „მორჯღალოსნებმა" სწორედ რომ სწორი ტაქტიკით აჯობეს ობიექტურად თავიანთზე ძლიერსა და უკეთ გაწვრთნილ მეტოქეს.

— ამჯერადაც წარმოჩნდა ქართველთა მობურთალობის ფრიადი ნიჭი, რისი ფესვებიც უთუოდ ეროვნული კულტურის საგანძურ ლელო-ბურთშია საძიებელი.

— თამაშს მრავლად დაესწრო წვრილფეხობა, მათმა თანატოლებმა კი მატჩამდე შოუ გაგვიმართეს და ერთობ შეგვაქციეს.

### გულდასაწყვეტი

ის იყო, რომ

— თამაშს არ დაესწრნენ პრეზიდენტი შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ლეკიშვილი და მათი რანგის სხვა მოღვაწეები. ამან ამ ერთხელაც დაგვანახა, რომ ჩვენში რაგბს პატივი ერთობ ჰკლებია.

— მატჩზე ცოტა მოსეირე მოგროვდა. აფიშები და ბილეთები მომხიბლავი კი იყო, მაგრამ პროპაგანდას, როგორც ბოლშევიკები იტყოდნენ, შეტევითობა აკლდა..

— მაყურებელი გუნდს თითქმის ვერაფრით მიეხმარა, რადგან თამაშის მეტი წილი მუდოსავით იჯდა. ეტყობა, ქართველებს ჯერაც არა გვაქვს გამომუშავებული რაგბის აღქმის კულტურა, რაც იმის ბრალია, რომ ფრიადი დონის რაგბს ტელევიზიით ბოლო დრომდე არ უჩვენებდნენ.

— ხალხის ასაყოლიებლად შემზადებული ჩირ-ლიდერთა ანსამბლი მხოლოდ შესვენებაზე გამოვიდა. ცქრიალა გოგონებმა კარგად კი იცეკვეს, მაგრამ ბიჭებს რა? რაც შეეხება სასულე ორკესტრსა და მისთანებს, ისინი სტადიონზე არცა ყოფილან, მატჩის შე-მუსიკ-ებას კი წამყვანის რაგბში ჩაუხედაობის გამო ჩვენებისთვის ხელის შეშლის მეტი არაფერი უქნია.

— არა გვქონდა სამაგალითო შეძახილი, ხოლო „ქვინის" We will rock you! და კიდევ აფრიკანერული „ბოკა-ბოკა" ჩვენთვის სრულიად უცხო აღმოჩნდნენ. ესენი რომ გაითავისო და როკვას მოყვე, გვარად ფანსხოლკვეიკი, კოტცე, პოტპიტერი, ჟუბერი ან რაიმე ამგვარი უნდა იყო და ტრანსვაალში ზანგების ალყაში ცხოვრობდე.

— დაბოლოს, ეროვნულ სტადიონზე საერთოდ არაა ქალთა საპირფარეშო. ეტყობა იმად, რომ მანდილოსნებმა თამაშებზე არ ვიაროთ.

დარეჯან ქსნელაშვილი



## გაოცებული ფრანგი მსაჯულის შთაბეჭდილებები

კლოდ ბარაბი: საქართველოში პირველად ვარ. აქამდე არც თქვენი გუნდის თამაში მენახა, რუსეთისას კი ვიცნობდი. პირდაპირ გამაოცა ქართველების უკანა ხაზის კარგმა თამაშმა. ვიხილე ძალზედ კარგი შერკინება და დიდი მოთამაშე, აი ის, თმები რომ ჰქონდა შეკრული (ზაზა ლეჟავა, ა. ჟ.). რაც შეეხება რუსებს, მორკინალები მათაც კარგი ჰყავთ, უკანა ხაზი კი ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

ფრანგმა არბიტრმა ჩვენს თხოვნაზე, საქართველოს ნაკრების დონე ევროპულთან შეედარებინა, კიდევ ერთხელ გაგვიმეორა გაოცება ჩვენების კარგი თამაშის გამო, მერე კი ბრძანა, ასეთ გუნდს შეიძლება იტალიასთან გაუჭირდეს, თორემ სხვებს ალბათ თანაბარ ბრძოლას გაუმართავსო. ბოლოს მესამედაც გაგვიმეორა, გაოცებული ვარო.

როცა ევროპულ დონესთან „მორჯღალოსნების" შედარებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩვენების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით კილასონიამ ასეთი საგულისხმო ცნობაც მოგვაწოდა: იტალიაში მოთამაშე ჩვენებურ აჩიკო ქავთარაშვილს თურმე უთქვამს, იქაურ მორაგბეებს ვაკვირდები და ვფიქრობ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ნეტავ რომელი არგებს ჩვენს ნაკრებსო, მაგრამ არჩევანი ვერავისზე შევაჩერე, რადგან საქართველოს გუნდში ყველანი კარგები ვართო.

კილასონია დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მეორე ტაიმში ქართველთა თამაშის ტემპის დავარდნა ნაადრევმა გულდამშვიდებამ გამოიწვია, და დაამატა, ეს ჩვენი საზოგადო სენია და ჩემი მოთამაშეობისასაც ასე იყოო.

სიტყვა ისევ არბიტრმა ითხოვა. იგი არ დაეთანხმა კილასონიას. ბარაბის აზრით, ფსიქოლოგიური ფაქტორი აქ არაფერ შუაშია; უბრალოდ, თქვენი პირველხაზელი მორკინალები დაიღალნენო. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ეს გასაკვირი არცაა, რადგან მწვრთნელებმა გარისკეს და კვაჭად დააყენეს არა-სპეციალისტი, სხვაფრივ ფლანკერი დიმა ობოლაძე, ვისაც პირველ ხაზში სათამაშოდ ბარემ 20 კილო (!) აკლია.

ავთანდილ ჟუჟიშელი

„ევრო-ს" პირველობის „ბ" ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ქ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 47:34 | 5-2 | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 14:18 | 1-2 | 0 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 20:29 | 1-3 | 0 |

რუსეთი ჩეხეთს ამ კვირას უმასპინძლებს. პირველობა განაღდებული გვაქვს! გაისად, აპრილში, საჩემპიონო ნახევარფინალში ვეთამაშებით „ბ" ქვეჯგუფის (პორტუგალია, პოლანდია, ტუნისი) ჩემპიონს

საქართველოს XXIX პირველობა

### მოწინავე ექვსეული

რუსეთთან შეხვედრის მერე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 19 | 17 | 0 | 2 | 564:169 | 78-12 | 34 |
| ყოჩები | 19 | 15 | 0 | 4 | 619:151 | 88-10 | 30 |
| ქორები | 19 | 13 | 0 | 6 | 397:164 | 52-13 | 25 |
| აია | 19 | 10 | 0 | 9 | 429:248 | 55-28 | 19 |
| აზოტი | 19 | 6 | 1 | 12 | 165:437 | 19-65 | 12 |
| გელათი | 19 | 6 | 1 | 12 | 238:519 | 19-79 | 12 |

დასრულდა ორკვირიანი არდადეგები. შეჯიბრი დღეს განახლდება

XX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხუთ | 24. X | გელათი | — | გუმარი |
| | | ქორები | — | აია |
| | | ყოჩები | — | აზოტი |

გადმოტანილი თამაში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პარ | 25. X | აზოტი | — | აია |

XXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამ | 29. X | გუმარი | — | აზოტი |
| | | აია | — | გელათი |
| | | ყოჩები | — | ქორები |

XXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კვი | 3. XI | გუმარი | — | აია |
| | | გელათი | — | ყოჩები |
| | | ქორები | — | აზოტი |

XXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შაბ | 9. XI | ქორები | — | გუმარი |
| | | ყოჩები | — | აია |
| | | აზოტი | — | გელათი |

XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხუთ | 14. XI | გუმარი | — | ყოჩები |
| | | გელათი | — | ქორები |

ფინალური ოთხეულის შეჯიბრი ორ წრედ, 21 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე გაიმართება

ბატუტუჩე ხტომა

# ბატუტი კარგი ძალაა

ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო თასის გათამაშება ექვს ეტაპად ეწყობა. სამი ეტაპი წელს უკვე ჩატარდა, სამიც გაისად გაიმართება. ამ ეტაპებზე დაგროვებული ქულების მიხედვით ათი საუკეთესო ინდივიდუალურ ხტომებში და რვა საუკეთესო წყვილი სინქრონულ ხტომებში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო თასის ფინალურ გათამაშებაში, რომელიც გაისად, ნოემბერში გერმანიაში გაიმართება. სწორედ ფინალში მოსახვედრი ქულების მოსაპოვებლად გაემგზავრა ევროპას საქართველოს ნაკრები. ჩვენს 7-კაციან დელეგაციას შეადგენდნენ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თომზა ცომაია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, მხტომელები რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი, კახაბერ გობრონიძე და მსაჯი ვალერი ჩხაბერიძე.

ჩვენმა მხტომელებმა კრასნოდარში ჩატარებული პირველი ეტაპი გამოტოვეს და ასპარეზობა მეორიდან დაიწყეს. ეს ეტაპი ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში მოეწყო. ჩვენები იქ საგანგებოდ ორი დღით ადრე ჩავიდნენ, რათა „ევროტრანპის" საერთაშორისო სტანდარტების ბატუტს შეგუებოდნენ. საქართველოში ხომ ისინი მოძველებულ ბატუტებზე ვარჯიშობენ. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოახერხეს, რადგან ახალი ბატუტები პრალიდან მხოლოდ შეჯიბრების დაწყების წინ ჩამოიტანეს. ამას ისიც დაერთო, რომ ტურნირის დაწყებას ანა დოლონაძე სიცხიანი შეხვდა და ექიმებმა გამოსვლა აუკრძალეს. ამის გამო ხოფერია — დოლონაძის წყვილი დაიშალა და დოლონაძის ადგილი ლია ბენდიანიშვილმა დაიკავა, რომელიც ტრავმების გამო ხუთი წელია ასეთ დიდ შეჯიბრებაზე არ გამოსულა.

ინდივიდუალურ ხტომებში რუსუდან ხოფერია წინასწარი ეტაპის შემდეგ მე-5 იყო, სავალდებულო ვარიჯში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგიც ჰქონდა, მაგრამ, რადგან ჩვენებს ახალ ბადეებთან შეგუება გაუძნელდათ, რუსიკო ნებისმიერ ვარჯიშში სირთულის ნაკლები კოეფიციენტით ასპარეზობდა. ზაურ სულაშვილმა ფინალში იგი სირთულის 10,9-ბალიანი კოეფიციენტით გაიყვანა, რაც ამ შეჯიბრებაზე ყველაზე მაღალი იყო. გამარჯვებულ ელენე მოვშანს 10,8 ჰქონდა. მაგრამ ხოფერიამ სრული ადაპტაცია ვერ მოასწრო და მე-7 ადგილი დაიკავა. ეს მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში გასასვლელ ოთხ ქულას ნიშნავს.

ტრავმებმა და ხანგრძლივმა შესვენებამ თავისი ქნა და ლია ბენდიანიშვილს ფინალში მოსახვედრად 0,9 ქულა დააკლდა.

კახა გობრონიძე დასანანი შეცდომის გამო ვერ მოხვდა ფინალში — ლეიბს შეეხო და 26-ე ადგილს დასჯერდა.

სინქრონულ წყვილებში ხოფერიასა და ბენდიანიშვილის დუეტი ფინალში გავიდა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. ესაც მსოფლიო თასის ჩასათვლელ ქულებს იძლევა.

ამის მერე ბატუტისტებმა გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გადაინაცვლეს. აქაც უიღბლობა — ტურნირამდე ორი დღით ადრე ხოფერიამ წელი დაიშავა. აუტანელი ტკივილის მიუხედავად, რუსიკო მაინც გამოვიდა სინქრონულ წყვილთა შეჯიბრებაში და ანა დოლონაძესთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა. ხოფერია — დოლონაძის წყვილმა შვიდი ქულა მოიპოვა.

წელის ტკივილმა ხოფერიას ინდივიდუალურ ხტომებში გამოსვლის საშუალება არ მისცა. აქ ანა დოლონაძე მე-7 იყო, თუმცა სულ, 0,7 ქულით ჩამორჩა მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ.

ლია ბენდიანიშვილი 32-ე იყო.

კახა გობრონიძემ ამჯერად უკეთ იასპარეზა — მე-18 ადგილზე გავიდა.

ამრიგად, მსოფლიო თასის გათამაშების წლევანდელი სამეტაპიანი ციკლი დასრულდა. ქართველი ბატუტზე მხტომელების მდგომარეობა ორი ეტაპის შემდეგ ასეთია: ინდივიდუალურ ხტომებში რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე 4-4 ქულით მე-12-მე-13-ე ადგილებს იყოფენ. სინქრონულ ხტომებში ხოფერია — დოლონაძის წყვილი მე-7 ადგილზეა, ხოფერია — ბენდიანიშვილისა — მე-13-ზე. ჩვენი ნაკრების წევრებს საუკეთესოთა შორის მოხვედრის ყველა შესაძლებლობა აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, სათანადო პირობები ექნათ. ასეთი ტიტულოვანი ნაკრებით ხომ ბევრი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს: რუსუდან ხოფერია — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ანა დოლონაძე — მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, მსოფლიო თასის მფლობელი სინქრონულ ხტომებში და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, ლია ბენდიანიშვილი — ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული და პრიზიორი. მწვრთნელიც უმაღლესი რანგისა გვყავს — ზაურ სულაშვილი, ყველა ამ შესანიშნავი სპორტსმენის აღმზრდელი. სირთულეები კი ბევრია. მომდევნო ორი ეტაპი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართება, მაგრამ გუნდის იქ გაგზავნა სათუოა, რადგან ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ბოლო ეტაპი კი პორტუგალიაშია. თუ მსოფლიო თასის ლიდერები ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში გაემგზავრებიან, ჩვენი გუნდის წევრებს ეტაპებზე გამოსვლების რაოდენობის შეზღუდვითაც შეუძლიათ მოხვდნენ ფინალში, მაგრამ თუ ლიდერებმა უარი თქვეს ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში გამგზავრებაზე იმის გამო, რომ ფინალში მონაწილეობა განაღდებული აქვთ, შეიძლება სხვებმა, ჩვენებზე გაცილებით სუსტებმა დააგროვონ ჩასათვლელი ქულები და ქართველები ფინალს მიღმა დარჩნენ.

მსოფლიო ჩემპიონატებზე კი ჩვენი მხტომელები სამი წელია არ გამოსულან. მოძველებულ ბატუტზე რომ ვარჯიშობენ, ესაც უკვე ვთქვით. არადა, ეს სახეობა საკმაოდ პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. ამის დასტური ჩეხეთში და გერმანიაში მსოფლიო თასის ეტაპებზე მონაწილე ქვეყნების რაოდენობაცაა — 23 და 24. ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობაც გახდება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სამარანჩმა ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს აცნობა, რომ ამ სახეობას აუცილებლად შეიტანენ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ამიტომაც ბატუტზე ხტომას მსოფლიოს მოწინავე სპორტული ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ. ჩვენს გუნდსაც უნდა შეექმნას სათანადო პირობები, მით უმეტეს, რომ ასეთი სახელოვანი მხტომელები გვყავს. ზაურ სულაშვილის თქმით, არიან ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებიც, რომელთაც უნარი შესწევთ, ოლიმპიადაზე ღირსეულად ამოუდგნენ მხარში ვეტერანებს. ჩვენი მხტომელების ავტორიტეტი ძალზე დიდია. წელს, ნოემბერში, გერმანელები აწყობენ ტურნირს, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილებს იწვევენ. ხოფერია და დოლონაძე კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატზე არ გამოსულან, პერსონალურად მიიწვიეს, თანაც, დაპირდნენ, რომ მგზავრობის გარდა ყველა ხარჯს აუნაზღაურებდნენ. ახლა ეს თანხაა საშოვნელი. მოკლედ, ქართველ მხტომელებს, თუ სათანადო ხელშეწყობა ექნათ, შეუძლიათ საქართველო ოლიმპიადაზეც ასახელონ, ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა კი დანაშაულია.

კოტე მგალობლიშვილი

კრივი

# ფული რომ იყოს...

3-10 ნოემბერს ჰავანა ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ღვთის მადლით, კუბას ჩვენი ნაკრებიც მიემგზავრება: მთავარი მწვრთნელი მირზა ფალიანი, მწვრთნელი ზაურ ანთაძე, სამი ფოთელი მოკრივე — თემურ ხურცილავა (51 კგ), ზაზა კუჭავა (71), ვლადიმერ ჭანტურია (81), ქუთაისელი ავთანდილ კაშია (57) და თბილისელი ოთარ ნავაძე (63,5). ნაკრები მოსკოვის გავლით მიფრინავს და 2 ნოემბერს ჩავა ჰავანას.

კუბაზე გამგზავრებამდე ჩვენი ბიჭები თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის კრივის დარბაზში ვარჯიშობენ. სწორედ იქ გავესაუბრეთ საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეთა მთავარ დამრიგებელს მირზა ფალიანს.

— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ხეირიანი მომზადება თუ მოგიხერხდათ და წარმატების იმედი თუ გაქვთ?

— სამზადისი მაისში დავიწყეთ და მას მერე ოთხი შეკრებაც მოვაწყვეთ. ეს, რა თქმა უნდა, საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ხელი გაგვიმართა კრივის ფედერაციასთან შექმნილმა კრივისა და სპორტის განვითარების ფონდმა.

პირველად ფოთში შევიკრიბეთ, იქ ფოთის კრივის კლუბის დირექტორმა ზაურ ანთიამ მიგვიწვია, მერე იყო ვარიანი — გიორგი კანდელაკის მშობლიური სოფელი, შემდეგ — ბორჯომი. ბოლო, მეოთხე შეკრებაზე სომხეთში გავემგზავრეთ, სადაც სომხეთისა და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებიც ჩავატარეთ და ორივეში გავიმარჯვეთ. ამ შეკრებების გარდა ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ღია ჩემპიონატში. ხუთი მათგანი ფინალშიც გავიდა. ავთო კაშია იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტიც გახლავთ. ჩვენმა ხუთივე მოკრივემ პირწმინდად გალახა სომეხ თანატოლთა ნაკრების პირველი ნომრები თავ-თავიანთ წონებში, ზაზა კუჭავამ კი ესაც არ იკმარა და უფრო მძიმე, 75 კილოგრამ წონაში სომხეთის გუნდის პირველ ნომერს აშკარა უპირატესობით მოუგო.

— საქართველოში მხოლოდ ეს ხუთი ახალგაზრდა მოკრივეა თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომ აგვერჩევა?

— სამწუხაროდ, უსახსრობის გამოა, რომ მხოლოდ ხუთის წაყვანას ვახერხებთ. ისაც დიდი ბედნიერებაა, რომ ამათთვის მაინც გამოინახა თანხა, თორემ ფული რომ იყოს, ყველა წონაში შევძლებდით ჩვენიანის გამოყვანას და ამ თორმეტიდან არცერთი შეგვარცხვენდა.

— ჩვენი ნაკრების შანსებზე კონკრეტულს რას გვეტყოდით, ვინ იქნებიან ძირითადი კონკურენტები ჩემპიონთა წოდებებისთვის ბრძოლაში?

— რამდენადაც ვიცი, ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ ყაზახებს და, რა თქმა უნდა, კუბელებს, თანაც ამათ ზურგს შინაური კედლებიც უმაგრებს. ნაკრების შანსზე კი რა მოგახსენოთ, არ მიყვარს წინასწარ ლაპარაკი, ერთს კი გეტყვით — ამ სიმორეზე წასაგებად არ მივდივართ.

ერეკლე კიკილაშვილი

ნანა ალექსანდრია
საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანი სპეციალურად „სარბიელისთვის"



# ზედიზედ მესამედ!

## ვინ თქვა, ოლიმპიადა დღესასწაულიაო?

ბრიტანელმა დიპლომატმა სერ ოლივერ უორდროპმა თავისი წიგნი ჩვენი ქვეყნის შესახებ ასე დაასათაურა: „საქართველოს სამეფო — ღვინის, ქალების და სიმღერის ქვეყანა", სადაც მან გამორჩევით აღნიშნა ქართველი ქალის სილამაზე და ჭკუა. შეიძლება ირონიით შეხვდე ამგვარ შეფასებას, მაგრამ არსებობს ერთი ძნელად ასახსნელი ფენომენი, რომელსაც საეჭვოს ვერ გახდი, საჭადრაკო სამყაროში „ქართულ ფენომენად" ცნობილი. 1962 წლიდან მოყოლებული 29 წლის განმავლობაში ფლობდა საჭადრაკო გვირგვინს ქართველი ქალი. მსოფლიო პირველობის ხუთ მატჩში ჩემპიონიც და პრეტენდენტიც საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ:

1975 გაფრინდაშვილი — ალექსანდრია
1978 გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე
1981 ჩიბურდანიძე — ალექსანდრია
1986 ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია
1989 ჩიბურდანიძე — იოსელიანი

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრები სამჯერ მთლიანად „ჩვენებით" იყო დაკომპლექტებული: 1980, მალტა; 1982, ლუცერნი (ჩიბურდანიძე, ალექსანდრია, გაფრინდაშვილი, იოსელიანი); 1986, დუბაი (ჩიბურდანიძე, ახმილოვსკაია, გაფრინდაშვილი, ალექსანდრია).

დამთავრდა საბჭოთა ერა. წარმატებები, საბედნიეროდ, გაგრძელდა: საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა: 1992, მანილა (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გაფრინდაშვილი, გურიელი); 1994, მოსკოვი და 1996, ერევანი (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი). მეამაყება, რომ სამივეჯერ მე ვიყავი გამარჯვებული ქართული გუნდის კაპიტანი.

ზედიზედ მესამედ! ვერა მენჩიკის თასი კიდევ ორი წელი იქნება საქართველოში. მსგავს შედეგს სპორტის ვერცერთ სახეობაში ვერ ვიხსენებ; იქნებ არც არსებობს. განსაკუთრებული სიხარული და ყველაზე ცრემლიანი ემოციები, რა თქმა უნდა, ჩვენთვის პირველ ოლიმპიადას ახლდა. მანილაში ხომ ქართული სპორტის ისტორიაში პირველად აჟღერდა ქართული ჰიმნი და აფრიალდა ქართული დროშა. განსაკუთრებული სიამაყე მოსკოვის ოლიმპიადას უკავშირდება: დამარცხებულია ბოლგარების გუნდი; მოსკოვის კრემლში ათი წუთი ქუხს „დიდება". ერევნის ოლიმპიადას თავისი სიხარული და სიამაყე ახლდა — ზედიზედ მესამედ!

საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება ივნისში გადაწყდა. კაპიტნობა ისევ მე მთხოვეს. მართალი გითხრათ, ერევნის ოლიმპიადასთან დაკავშირებით სხვა გეგმები გამქონდა — ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ სენიორ არბიტრად მიმიწვია, ძალიან კარგი ანაზღაურებით; მეც თანხმობა მქონდა მიცემული. ქალთა ოლიმპიადის მთავარი მსაჯობა მხოლოდ ფიზიკურ ენერგიას ითხოვს. მე ეს სავსებით მაძლევდა ხელს, მაგრამ... ზედიზედ მესამედ... ზედიზედ მესამედ. მეც დავთანხმდი. მაგრამ მთავარი გუნდია და არა კაპიტანი. გამარჯვება კაპიტნის გარეშეც სავსებით შესაძლებელია. საბედნიეროდ, არ დაანება თავი ჭადრაკს მაია ჩიბურდანიძემ და ამას, ვფიქრობ, მეტწილად ცნობილ თეოლოგს მამა რაფაელს უნდა ვუმადლოდეთ. ასე რომ, ლიდერი გვყავდა. თანხმობა მოგვცა პრაღაში „გადახვეწილმა" ნანა იოსელიანმა და ედინბურგში გათხოვებულმა ქეთევან არახამია-გრანტმა (ქეთევანი შოტლანდიის გუნდის კაპიტნის ჯონათან გრანტის მეუღლეა და ინგლისურენოვან პრესაში უკვე ორმაგი გვარით მოიხსენიება). გუნდის მეოთხე წევრიც, ჩემი აზრით, ეჭვს არ იწვევდა — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნინო გურიელი. ნაკრების სწორედ ასეთი შემადგენლობა დავასახელე ფედერაციის სხდომაზე. სათადარიგოდ გამოცხადდა მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე გოგონათა შორის, დიდოსტატი ნინო ხურციძე. ერთი სიტყვით, გუნდი დაკომპლექტდა მსოფლიო პირველობის ბოლო ციკლის მიხედვით. მიუხედავად ნინო გურიელის „გუნდურობაზე" ეჭვის არსებობისა, პროფესიონალებში და გუნდის წევრებში (არახამიას გარდა დანარჩენების აზრი ცნობილი იყო) სხვა მოსაზრება არ ყოფილა. ნინო ხურციძეს, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი ჰქონდა ნაკრებში მოხვედრისა, თავის აზრს იგი გურიელზე მეტი კოეფიციენტით ასაბუთებდა. იანვრის კოეფიციენტები ასეთი იყო: ხურციძე — 2365, გურიელი — 2360. მაგრამ ნონა გაფრინდაშვილს წლის დასაწყისში ორივეზე უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდა — 2380! ნონას საჭადრაკო ბიოგრაფიას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ. გასულ წელს მან კიდევ ორი ტიტული მიიმატა — მსოფლიოს ჩემპიონობა ვეტერანთა შორის და იუგოსლავიის ჩემპიონობა საკლუბო გუნდ „გოშას" შემადგენლობაში. ოლიმპიური გამოცდილებაც საკმაო გააჩნია — 11-გზის ოლიმპიური ჩემპიონია! გუნდში რომ მოგვეწვია, იქნებ უარი არც ეთქვა. გურიელზე უკეთ ახლაც ითამაშებდაო — იტყვით. ამ ლოგიკით შორს წავალთ და... ვერსად მივალთ. მიუხედავად ფანტასტიური ოლიმპიური ბიოგრაფიისა, სხვათა შორის, ნონასაც ჰქონია მარცხი: მაგალითად, მანილაში მან ოთხი პარტია წააგო, მეტი, ვიდრე წინა თერთმეტ ოლიმპიადაზე ერთად აღებული! ჯანმრთელობა, ფორმაში ყოფნა, დაღმავალი გზის დასაწყისი — ყველაფრის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია.

რატომ მიეცა უპირატესობა ნინო გურიელს? უმცროს ნინოსთან შედარებით გაცილებით უფრო მდიდარ საჭადრაკო ბიოგრაფიას და ოლიმპიურ გამოცდილებას (რაც ასევე მნიშვნელოვანია) თავს დავანებოთ. გადამწყვეტი იყო მსოფლიო პირველობის ბოლო, საზონათაშორისო ტურნირის შედეგები, სადაც გურიელმა მეშვიდე გამსვლელი ადგილი გაიყო და დღეს პრეტენდენტთა ტურნირის პირველ კანდიდატად ითვლება. გურიელმა მხოლოდ ნახევარი ქულით გაუსწრო ხურციძესო, ამბობენ უმცროსი ნინოს ქომაგები. კი ბატონო, მაგრამ პროფესიონალებმა ხომ შესანიშნავად იციან, რომ კიშინიოვში ორმა ნინომ პრაქტიკულად ორ სხვადასხვა ტურნირში ითამაშა. „გამარჯვებულ გუნდს არ ცვლიანო" — ესეც ხომ გასათვალისწინებელია. ნინო გურიელს კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა. ბოლო დროს მას ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალებთან აქვს შეხება — ზურაბ აზმაიფარაშვილი, ლაშა ჯანჯღავა, რომ არაფერი ვთქვათ მის მეუღლეზე, ზურაბ სტურუაზე. ამიტომ მისი თეორიული მზადყოფნა ეჭვს არ იწვევდა.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას კოეფიციენტისადმი (ამ აზრს ბევრი იზიარებს), ქალთა ჭადრაკში კოეფიციენტი მთავარი კრიტერიუმი არასდროს ყოფილა. მახსოვს, ნატაშა ალიოხინას (რომელიც სსრკ-ს ჩემპიონატის ფინალში ვერ გადიოდა), მამაკაცთა ტურნირებში ხშირი მონაწილეობის გამო ერთ დროს მსოფლიოში III კოეფიციენტი ჰქონდა. საკუთარი მაგალითიც შემიძლია მოვიშველიო: პია კრამლინგს 2-ჯერ შევხვდი მსოფლიო პირველობის ციკლში: საზონათაშორისო ტურნირი ჰავანაში და პრეტენდენტთა ტურნირი მალმიოში. ორივეჯერ საგრძნობლად გავუსწარი, თუმცა კოეფიციენტში დაახლოებით 100 ქულას მიგებდა.

ნინო ხურციძის საჭადრაკო ძალა და მაღალი კოეფიციენტი რომ არ დავაკნინო (1996 წლის სექტემბრის კოეფიციენტები კიდევ უფრო შთამბეჭდავია: ხურციძე — 2428! გურიელი — 2376; გაფრინდაშვილი — 2350), დავძენ, ნინო ხურციძე უკვე დღეს სერიოზული ძალაა, რაც მან დაადასტურა პალუში, ერევანში და აგვისტოს მიწურულს იუგოსლავიაში. ვფიქრობ, მსოფლიო პირველობის შემდეგ ციკლში ხურციძის პრეტენზიები პრეტენდენტთა ტურნირში მოხვედრაზე უფრო სერიოზული იქნება.

გუნდის დაკომპლექტებას ასე დეტალურად იმიტომ შევეხე, რომ სათადარიგოს თაობაზე ოლიმპიადის წინ და ოლიმპიადის პერიოდში დიდი აჟიოტაჟი იყო შექმნილი. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პირადად მე ეჭვით ვუყურებ მშობლების საჭადრაკო აქტიობას, არა მგონია, სწორი იყოს პარლამენტის დონეზე გუნდის შემადგენლობის განხილვა...

კარგია თუ ცუდია, ერევნის ოლიმპიადაზე გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი.

ოლიმპიადის წინ კითხვაზე, ვინ გამოირჩევა გუნდში ბრძოლისუნარიანობით, ორი გვარი დავასახელე: იოსელიანი და არახამია. ოლიმპიადამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუმცა, მათ შორის არსებობს განსხვავებაც. არახამიას ყოველთვის უნდა თამაში (ჭადრაკი ჯერ არ მობეზრებია), ნანა ყოველთვის მზად არის ითამაშოს (თუმცა ჭადრაკმა უკვე დაღალა). მაია ბრძოლისუნარიანობით არასოდეს გამოირჩეოდა. მას ეს თვისება ნონას მსგავსად რომ ჰქონოდა, გინესის რეკორდების წიგნში მხოლოდ ერთი შედეგით არ შევიდოდა (თუმცა ეს შედეგი ყველაზე საპატიოა — ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი!). რაც შეეხება ნინო გურიელს, მას თავდაპირველად ბრძოლისუნარიანობის ნაირსახეობა აქვს ასათვისებელი — საკუთარ თავთან შებრძოლებისუნარიანობა.

ვნახოთ, როგორია ერევნის ოლიმპიადაზე საქართველოს გუნდის წევრთა შედეგების არითმეტიკა. ჩიბურდანიძე: 8,5 ქულა 12-დან; იოსელიანი: 10 — 13-დან; არახამია 8 — 10-დან; გურიელი 3,5 — 7-დან. გუნდის ძირითად შემადგენლობას არცერთი პარტია არ წაუგია. ნინო გურიელმა ორი პარტია წააგო, ორივე თეთრებით. ნინოს ცუდ ფორმაში ყოფნა სერიოზული მოულოდნელობა იყო, პირველ რიგში, თავად მისთვის. სომხეთთან მარცხმა მას წონასწორობა დაჰკარგვინა. წონასწორობადაკარგული ნინო საკმაოდ საშიში აღმოჩნდა გუნდისთვის. არახამიამ პირველი ადგილი დაიკავა მესამე დაფაზე. იოსელიანმა პირველი-მეორე გაიყო ჩუ ჩენთან.

გუნდის ლიდერის მაია ჩიბურდანიძის ერევანში გამოსვლა ყველაზე ზუსტად ვაჟთა გუნდის ლიდერმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა დაახასიათა: „მაია ერთადერთი მოჭადრაკე იყო, რომლის არცერთი პარტია სანერვიულო არ გამხდარა, ამ დაფაზე მუდამ გულმშვიდად ვიყავით". დავძენდი მხოლოდ, მაიას თამაშს რისკიც რომ მიემატოს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებაზე შეიძლებოდა ფიქრი. სტუდენტობისას ძალიან მომეწონა ლაკონელების პასუხი ხპარტანელების მუქარაზე — „რომ დავიძრათ, მიწასთან გაგასწორებთო". — „რომ". — ლაკონურად მიუგეს ლაკონელებმა. კარგი იქნებოდა, რომ მაიამ დაძლიოს ყველანაირი „რომ", და საკუთარი ხელით ჩაბარებული დედოფლის გვირგვინი უკან მოაბრუნოს.

მაიას მოჭადრაკეებში გამორჩეული რეჟიმი აქვს — დღის პირველ ნახევარში, თამაშამდე ზამთარში ძილსმიცემულ დათვს მაგონებს, გაღვიძებული არ არის, ისევ იძინებს. კონტაქტებს ერიდება, ენერგიას ინახავს. ყველაზე ადრე იღვიძებს და იძინებს (ჩემს ნაცნობ მოჭადრაკეებში ერთადერთი „ტოროლაა"). ოლიმპიადის დროს საუზმეზე ჩემს შემდეგ მაია ჩამოდიოდა, ცხრის თხუთმეტ წუთზე. მე, ნანა იოსელიანის არ იყოს, ტიპიური „ბუ" ვარ, მაგრამ საჭირო იყო და ადრე ვდგებოდი (კენჭისყრის შედეგს რვა საათზე ვიგებდით, ხანდახან უფრო ადრეც). საუზმის შემდეგ, ვიდრე მოწინააღმდეგეზე მასალას მოვუმზადებდი, მაია სეირნობდა. 9 საათიდან იწყებდა პარტიისთვის მზადებას, ხშირად თავის მწვრთნელ ხვიჩა სუპატაშვილთან ერთად. 11 საათის შემდეგ კი ისევ ძილი. დამატებითი ინფორმაცია: მოწინააღმდეგის შეცვლის თაობაზე კარებში ფურცლის შეცურებით, ან სადილის დროს. სადილობს ყველაზე გვიან, ორის ნახევარზე. შემდეგ შესაძლებელია ხანმოკლე თეორიული დაზუსტება და... თამაში, თუ ამას თამაში ჰქვია — სამიდან ათ საათამდე შეიდსაათიანი დაძაბული გონებრივი შრომა.

„ვინ თქვა, ოლიმპიადა დღესასწაულიაო?" — ამოიოხრა გაუთავებელი თამაშით არაქათგამოცლილმა ნანა იოსელიანმა. მართლაც, რა დღესასწაულია — წარმოუდგენელი ენერგია, ნერვები, შრომა და ოფლი, უზარმაზარი ტვირთი, მართალია, სასიამოვნო, მაგრამ მაინც... სასტუმრო — დარბაზი — სასტუმრო — ყველა ოლიმპიური ქალაქი ასე „ზედმიწევნით" გვაქვს დათვალიერებული.

ოლიმპიადის შემდეგ ნანაზე გამორჩევით ვლაპარაკობდი. მაიას გულის კუნჭულში შეიძლება ეწყინა კიდეც. მაგრამ ნანა ამ ოლიმპიადაზე სხვებზე მეტად „დაიხარჯა". მაიასთან შედარებით შეუდარებლად უფრო ემოციურმა პიროვნებამ ჭადრაკიც უფრო ემოციური ითამაშა. ნანა გვიან იძინებს და გვიანობამდე უყვარს ძილი. თუ პაოლო იაშვილს დავესესხებით, „არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს". დილით, ათის ოცდახუთ წუთზე, მიხდებოდა ნანას გაღვიძება, რადგან თავყრილობა ჩემს ოთახში ათის ნახევარზე მქონდა დანიშნული (გუნდის შემადგენლობაზე ოფიციალური განაცხადი ათ საათამდე უნდა გაკეთებულიყო). გადაწყვეტილების მიღებისას ვეყრდნობოდი მაიასთან და ნანასთან საღამოს კონსულტაციებს. კარგი იყო, ნონაც ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობდა. ზოგ შემთხვევაში მასთანაც ვთათბირობდი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლო სამი ოლიმპიადის დროს ჩემი მთავარი დასაყრდენი მაინც მაია იყო. ნანა, მაიას მსგავსად, ვეგეტარიანელია. ძალიან ცუდი მჭამელია, გაგიკვირდება, რით უდგას სული. ოლიმპიადაზე ნანა ქეთინოსთან და ნინოსთან ერთად პირველის ნახევარზე სადილობდა და შემდეგ ერთი საათით იძინებდა. საცოდაობა იყო მისი გაღვიძება. „მოვდივარ" — ისეთი ხმით მეტყოდა ხოლმე ტელეფონში, გული მოგიკვდებოდა. მართლაც, ვინ თქვა, ოლიმპიადა დღესასწაულიაო. მოჭადრაკე ქალები მათი სქესისათვის სრულიად შეუფერებლად სწრაფად ემზადებიან. ხუთ წუთში ნანა წესრიგშია. სამის ნახევარზე შემოდის, ტრადიციული ყავა ჩემს ოთახში. მაიასთან, ქეთინოსთან და ნინოსთან უკვე ჩამორეკილია, ისინი ხუთ წუთში გაჰყვებიან საერთო ავტობუსს. ყველაზე გვიან მე და ნანა ჩავდივართ. ქვემოთ ჩვენი პრეზიდენტი, ვაჟა შუბლაძე გველოდება. სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის მიერ გამოყოფილი „ვოლგით" მივდივართ სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში, სადაც ოლიმპიადა მიმდინარეობს.

ქეთინოს და ნინოს ნაკლებად ეჭირდებათ — ორივეს მოჭადრაკე მეუღლე ჰყავს გვერდით. ნინოს პირადი მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავაც აღგილზეა. ნინოს საფუძვლიანად უყვარს პარტიისთვის მზადება. ურჩევნია, წინა დღეს იცოდეს ზუსტად თამაშობს თუ არა. სამწუხაროდ, ეს ხშირ შემთხვევაში არ ხერხდება. პროფესიული კომფორტის საშუალებას ოლიმპიადა არ იძლევა, გარდა ამისა, გუნდს თავისი სპეციფიკაც გააჩნია.

ასეთია ზოგადი შტრიხები საჭადრაკო პორტრეტებისთვის. ახლა კი მივყვეთ ოლიმპიურ დღიურს.



ნანა ალექსანდრიას ერევნის ოლიმპიადაზე სენიორ არბიტრობას სთავაზობდნენ, უარი თქვა და... სენიორ კაპიტანი გახდა

16 სექტემბერი — I ტური

საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გურიელი) — სომხეთი 2.

სომხეთი ძლიერი მოჭადრაკე ქალებით არასოდეს ყოფილა განებივრებული, აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, რა სიძლიერის უნდა ყოფილიყო სომხეთის მეორე ნაკრები, და მაინც გაგვიჭირდა, ძლივს მოვიგეთ 2:1.

მაიამ უცნობ პოზიციაში წამოიწყო მცდარი კომბინაცია. ხარისხი ხელთა მაიამ, არც დრო აქვს მეტი. რატომღაც, მაინც არ მეშინია. ორმხრივ ცაიტნოტში მოწინააღმდეგე უხეშად ცდება და მარცხდება.

ლამაზ სტილში გაიმარჯვა ნანამ.

კარგი დებიუტის შემდეგ ძალიან მძიმედ და ცუდად ითამაშა ნინომ და მოულოდნელი მარცხიც განიცადა. „თუ კარგად დაიწყებს, ჩვენს გუნდს პრობლემები არ ექნება" — გამახსენდა ნონას პროგნოზი. ვაი, რომ დაიწყეს, და სცენიდანაც ჩამოგვაბრძანეს.

17 სექტემბერი — II ტური

ესტონეთი — საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია)

ადვილად მოიგეს შავებით მაიამ და ქეთევანმა.

ფომინამ ფიგურა შესწირა იოსელიანს. ნანას ბრწყინვალე 33-ე სვლა და ეფექტური შამათი.

სუფთა გამარჯვება და კვლავ სცენა, საიდანაც აღარ ჩამოვსულვართ.

18 სექტემბერი — III ტური

საქართველო (იოსელიანი, არახამია, გურიელი) — კუბა

მაიას პირველი დასვენება. კვლავ შესანიშნავად თამაშობს ნანა და იმარჯვებს.

დაიწყო არახამიას და ჩვენი ძველინდური წვალება. ნელ-ნელა ქეთინომ გადაითამაშა მეტოქე და ტექნიკური ნაწილი სუფთად გააფორმა.

კარგი პარტია მოიგო ნინომ.

კვლავ 3:0.

19 სექტემბერი — IV ტური

რუსეთი (გალიამოვა, მატვეევა, პრუდნიკოვა) — საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია)

ოლიმპიადის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ვხვდებით ლიდერს, რომელიც ნახევარი ქულით გვისწრებს. პროგნოზით რუსეთი ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტია. წინა ოლიმპიადაზე მოსკოვში რუსეთი წარუმატებლად გამოვიდა. მაგრამ შემდგომ წამოიწყო საჭადრაკო ექსპანსია — უკრაინას „წაართვა" გალიამოვა, იუგოსლავიას — პრუდნიკოვა და გვარიანად გაძლიერდა.

საღამოს თათბირზე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება შესანიშნავ ფორმაში მყოფი იოსელიანის დასვენების შესახებ. ძილის წინ ნანასთან ვისაუბრე. მას უნდოდა თამაში, მაგრამ დამეთანხმა — საჭიროა დამრტყმელი თეთრი ფერი. მატვეევას ფრანგული დაცვის წინააღმდეგ არახამია ყოველთვის კარგად თამაშობს და მისი მეორე დაფაზე გადმოყვანა სავსებით შესაძლებელია, თანაც, ავცდებით ქეთინოს საეჭვო ძველინდურს, მაგრამ გურიელის შავი ფერის ეშინოდა. „დარწმუნებული ვარ, ნინოს ხვალ არ გაუჭირდება-მეთქი", და ასე დავცილდით. დილით, როცა გუნდი შეიკრიბა, განაცხადში უკვე გურიელი მეწერა, მაგრამ თავად ნინოს ყოყმანმა სასწრაფოდ შეგვაცვლევინა აზრი. თამაშობს ძირითადი შემადგენლობა. ასე არეულად დაიწყო მნიშვნელოვანი დღე.

ტურზე პირველად მივდივართ შეფების მიერ გამოგზავნილი „ვოლგით". ერევანი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. ეწყობა მიტინგები, ქუჩები გადაკეტილია, ქალაქში მოძრაობა გაძნელებულია. ჩვენმა მძღოლმა არ იცის, სად ტარდება ოლიმპიადა. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე ასწავლის: „წინა მანქანას გაჰყევი და არ შეგეშლება". გავყევით და, როცა მანქანა გაჩერდა, გულშემოყრილებმა აღმოვაჩინეთ, რომ ჭადრაკის კლუბში მივედით. ძალიან არ შევშინებია, ხახალეიშვილი კი ყველას გაგვახსენდა. საბოლოოდ „არ-აწონვას" გადავრჩით, თუმცა ნანამ ათი წუთით მაინც დააგვიანა.

საქართველოს ნაკრებმა შავი ფერის მიუხედავად იმ დღეს შესანიშნავად ითამაშა. 2 ყაიმი შავებით (მაიამ და ქეთინომ კინაღამ „წამოიკიდეს" მეტოქეები). დაგვიანებულმა ნანამ კი ოლიმპიადაზე თავისი საუკეთესო პარტია მოიგო. 2:1 — რუსეთს გავასწარით, მაგრამ ნახევარი ქულით წინ არის უკრაინა.

20 სექტემბერი — V ტური

საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გურიელი) — უკრაინა

„გუნდის ხელმძღვანელთა ექსპერიმენტმა საქართველოს ლიდერობა დააკარგვინა", — ასე შეაფასა ჩვენმა პრესამ არახამიას დასვენება.

რა თქმა უნდა, ვინც ცუდ ფორმაშია, უნდა შეიცვალოს. მაგრამ ასევე, რა თქმა უნდა, გუნდის წევრი არ უნდა „დაიკარგოს", გურიელი უნდა შევინარჩუნოთ.

**დასასრული მომდევნო „სარბიელში"**

დასასრული მომდევნო „სარბიელში"

# ყინულის ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში




ფილადელფიის მეკარე ჰექსტოლი ყინულზე გდია, მაგრამ ანაჰაიმელი დრიურის იერიში მაინც მოიგერია

21 ოქტომბერი. დეტროიტი — ლოს-ანჯელესი 3:0
22 ოქტომბერი. ფილადელფია — ანაჰაიმი 3:0, ტორონტო — სან-ხოსე 4:3, ფინიქსი — სენტ-ლუისი 1:2, კალგარი — კოლორადო 5:1, აილენდერსი — ტამპა 3:6.

ბოლო ორი სეზონის ჩემპიონი დეტროიტი წელს საკმაოდ არასტაბილურად თამაშობს. ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობას სხვადასხვა ვარიანტის შერჩევა უწევს. მორიგ შეხვედრაში შენაჰან — აიზერმან — ჯონსონის ექსპერიმენტულმა სამეულმა გამოიჩინა თავი. პირველმა ლოს-ანჯელესს ორი შაიბა შეუგდო და პირადი ანგარიშიც გახსნა, ჯონსონი კი დეტროიტელთა სამივე გოლის სულისჩამდგმელი და ხელშემწყობი იყო. სამაგიეროდ, ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდ ფიოდოროვს სტაბილური ადგილი ვერ მოუძებნეს — მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი შაიბაა.

ფილადელფიაში ყველაფრის თავი და თავი 1993 წლის სტენლის თასის გმირი ერიკ დეჟარდენი იყო. პოდეინმა მისი წყალობით ორი შაიბა გაიტანა, გამარჯვების წერტილი კი თავად დეჟარდენმა დასვა — 3:0. აქვევიტყვით, რომ ფილადელფიელმა ჰექსტოლმა და დეტროიტელმა ოსგუდმა მეორედ (კარიერაში კი მეათედ) შეინახეს კარი ხელუხლებლად, თუმცა ჰექსტოლს დიდი ჯაფა არ დადგომია — სულ 12 დარტყმა მოიგერია.

კალგარელმა ფლერიმ ჰეთ-ტრიკი შეასრულა და კვლავ დაამტკიცა, რომ როდესაც ფორმაშია, მის გუნდს არაფრის უნდა ეშინოდეს. ამჯერად ფლერიმ და კალგარიმ თასის მფლობელი კოლორადო არ დაინდეს. საინტერესოა, რომ ფლერიმ ერთი შაიბა ბულიტით — საჯარიმო რეიდით გაიტანა.

ხუთი წაგების შემდეგ გაიხარა ტორონტომ, თუმცა სან-ხოსემ დიდი ბრძოლა გაუმართა. შვედი სუნდინის (2 + 1) მეოთხე, გადამწყვეტმა შაიბამ სტუმრებს შანსი აღარ დაუტოვა.

დებიუტანტთა შორის სამი ჰოკეისტი დაწინაურდა. სენტ-ლუისელმა კემპბელმა ფინიქსთან შეხვედრის ბოლო პერიოდში გუნდიც დააწინაურა, თავისი მე-5 გოლიც გაიტანა და რეინჯერსელ გონოს და ედმონტონელ სმითმაც დაეწია. კემპბელის პარტნიორმა პალმა მეორე შაიბა შეაგდო.

ტამპასა და ფლორიდას ხუთი წლის წინ ნჰლ-ში არავინ იცნობდა და აღიარებდა. ახლა ეს თაეხედი კლუბები ფავორიტებს უგებენ და სატურნირო ცხრილის კენწეროშიც არიან. გუშინდელ მატჩში უვარსკვლავო ტამპამ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. საუკეთესონი კალენი (1 შაიბა და 3 პასი) და ბრედლი (2 შაიბა) იყვნენ, ხოლო ვეტერანმა სისარელიმ მე-5 გოლი შეაგდო.

**ლიდერები:**

**ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი.** ჰარტფორდი 8 ქულა (5 თამაშიდან), მონრეალი 8 (7)
**ატლანტიკის დივიზიონი.** ფლორიდა 11 (7), ტამპა 10 (6), ფილადელფია 10 (9)
**ცენტრალური დივიზიონი.** დალასი 14 (8), ჩიკაგო 10 (8), სენტ-ლუისი 10 (9)
**წყნარი ოკეანის დივიზიონი.** კალგარი 10 (9), კოლორადო 9 (9)

**ბომბარდირები:** საკიკი (კოლორადო) 15 (4+11); სელიანე (ანაჰაიმი) 11 (5+6); ფოსბერგი (კოლორადო) 11 (4+7); ხრისტიჩი (ლოს-ანჯელესი) 11 (3+8); არნოტი (ედმონტონი), პერო (ლოს-ანჯელესი) 10 (5+5); ნიკოლზი (სან-ხოსე) 10 (4+6); გრეცკი (რეინჯერსი), კოივუ (მონრეალი) 10 (3+7); გარტნერი (ფინიქსი) 9 (7+2)
**სნაიპერები:** გარტნერი 7; სავაჟი (მონრეალი) 6; პაინცი (ბოსტონი), იაშინი (ოტავა), ადამსი (დალასი), სმიტი და არნოტი (ედმონტონი), გრენატო (ლოს-ანჯელესი), ლაკრუა და იანგი (კოლორადო), გონო (რეინჯერსი), პერო, სისარელი და ბრედლი (ტამპა), სუნდინი (ტორონტო), ფრიზენი (სან-ხოსე), კემპბელი (სენტ-ლუისი) 5
**ასისტენტები:** საკიკი 11; ხრისტიჩი, ნოლანი (სან-ხოსე) 8; კოივუ, გრეცკი, ფოსბერგი, მოდანო (დალასი), ოზოლინში (კოლორადო), ფერარო (ლოს-ანჯელესი) 7

**სამველ ღარიბიანი**

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# მსოფლიო რაგბი

## რაგბი მაფიის წინააღმდეგ

ავსტრალიელი „ვოლაბები“ ევროპას რვა კვირით ჩასულან. მათ პირველი თამაში შაბათს, სიცილიაზე გამართეს იტალიის მეორე ნაკრებთან. მატჩის შემოსავალი უკლებლივ გადაეცა მამა ალფიო ზპამპინატოს, ვინაც ძველად მორაგბე, ან კი არასრულწლოვანთა ციხის მღვდელი ყოფილა. იგი ამ თანხას თურმე შეაწევს სარაგბო მოედნის მშენებლობას, მერე კი კლუბს დააარსებს და ბურთაობაში ჯეელების მიზიდვით მათ განარიდებს ყოველგვარ სიგლახეს, რომლის თავი და თავი იქაური მაფიას.

თამაშს 3 ათასი კაცი დაესწრო და კურიოზიც შეემთხვა. დაწყების დროდ მასპინძლებს საღამოს 8 საათი დაეთქვათ, სტუმრებს კი 9 საათი ეგონებიათ. ბოლოს კომპრომისი გამოინახა — მატჩი 9-ის ნახევარზე დაიწყეს.

დაიწყო თამაში, „ვოლაბთა“ ზორზოხმა მეორეხაზელმა გერიქ მორგანმა უმალ კოჭი მოიტეხა და ავსტრალიაში გასაგზავნი შეიქნა. სამაგიეროდ, აიწყვიტა შუამარბმა ჯეისონ ლითლმა, ლავიწისა და ცხვირის მეტეხილობის გამო ნაკრებში წელს აქამდე რომ ვერ ეთამაშა. გუნდის პირველი ოთხი ლელო მან გაახერხა.



ავსტრალიელები წუხელ პადოვაში ტესტს გაუმართავდნენ იტალიას. „ვოლაბთა“ უკოლორიტულესი, წარმოშობით იტალიელი გარემარბი დევიდ ქემფიზი საიუბილეო, მეასე კეპს მოიხვეჭდა. მეტი — 111 მხოლოდ ფრანგი შუამარბის — ფილიპ სელას კოლექციაშია.

### „ვოლაბები“ ევროპაში

19. X. კატანია (სიცილია). იტალია „ა“ 19 (9) (ლ: როსელი; გ, 3ს, ა: მაძარიოლი) — ავსტრალია 55 (31) (8ლ: თიუნი, ლითლი, თუმზი, როფი, პეინი, კონორსი, რობინსონი, კეფუ; 6გ და ს: ვოლისი)

**ფრანსუა პინარს** ბოლო კვირის მანძილზე თავს იმდენი რამ გადახდა, მავანს მთელი ცხოვრება ეყოფოდა: ჯერ იყო და სამხრეთი აფრიკის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ანდრე მარკპრააფმა ლვანლმოსილი კაპიტანი გუნდიდან დაითხოვა, „ქურციკებს“ ამიერიდან ალარაფერში გამოადგებიო. ამას ხალხის რისხვა მოყვა. უპრინციპო მწვრთნელს გულშემატკივრებმა შინ რეკვა დაუწყეს: უმეტესობამ ლანძღვა აკმარა, ზოგი კი მოკვლასაც დაქადნა. მარკპრააფი ისე დაფრთხა, რომ შინ ჩაიკეტა და პრეტორიაში დანიშნულ დიდ მატჩსაც კი არ დაესწრებია.

თამაშის წინადღით პინარს ცოლის ანაბრად მიტოვებული ბინა გაუტეხეს, მერე კი იოჰანესბურგიდან პრეტორიას მიმავალი ტრანსვაალის გუნდის ავტობუსი გაფუჭდა. ბოლოს იყო მატჩი, რომელშიც პინარმა გადასარევად ითამაშა და ტრანსვაალს გაამარჯვებინა მეზობელსა და ოდინდელ მეტოქე ჩრდილოეთ ტრანსვაალთან.



ნამატჩევს პინარი ხელში აიყვანეს და მოედნიდან ამგვარად გაიყვანეს. თავად, გაზეთ „ბეელდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დაიჩივლა, დამღალა მარკპრააფის ამდენმა ორპირობამ და სიცრუემო. ჯერ თურმე საერთოდ არ ვვარგებულვარ; მერე გაირკვა, რომ მარტო საშემოდგომო ტურნედან დავუთხოვივარ; მერე კიდევ ხმა დამიყარა, ნაკრებში თამაში თავად იუარაო. ახლა, როცა სატურნეო შემადგენლობიდან უკვე სამი კაცი დაშავდა, რომც მთხოვონ, აღარ დავბრუნდები, რადგან დასვენება მჭირდებაო.

ექს-კაპიტანს, ვისაც რაგბის კავშირთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული, წლის ბოლომდე შვებულება უთხოვია. როგორც ნაკრების ყოფილი კვაჭი, პროფესიით ექიმი ული შმიდტი ამბობს, ფრანსუას იმდენჯერ შერყევია ტვინი, რომ რეფლექსები უკვე შენელებული აქვს და სათანადო რეაქციის აღსადგენად გვარიანი დასვენება სჭირდება.

ზეგ ტრანსვაალი ქარრის თასის ფინალში სტუმრად ეთამაშება ნატალს, ვინაც წლევანდელ შეჯიბრში გამართული 14-ვე თამაში მოიგო.

## ბურთაობენ და ჩხუბობენ

საფრანგეთის კლუბებმა მეორე და მესამე ტურებში თავი ტრადიციულად გამოიჩინეს — ლამაზადაც გაიმარჯვეს და დაშხოშიანდაც იჩხუბეს.

თასის მფლობელმა „ტულუზმა“ ორივე მატჩი მოიგო: ჯერ მილანში, კოკისპირულ წვიმაში, ოდენ 700 მაყურებლის თვალწინ, თომა კასტენიედისა და კრისტოფ დეილოს ლელოებით ზედ შესვენების წინ გატეხა მასპინძლები, მერე კი უმასპინძლა „კარდიფს“, ვისაც იანვარში ფინალი მოუგო.

ამ თამაშის პირველ ნახევარშივე გააძევეს ფრანგთა კვაჭი პატრიკ სულა და მასპინძლებიც ერთი პირობა ჩამორჩნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ჯერ მცველი სტეფან უჟიეს სლალომის შემდეგ ემილ ნტამაკმა გაიტანა ლელო, მერე კი ფლანკერმა სილვენ დიპანმა გარემარბი დავიდ ბერტი კარსუკან შეგზავნა.

პლანეპლიში იჩხუბა „პომ“. მუშტი-კრივისთვის მე-60 წუთზე გააძევეს ფლანკერი ნიკოლა ბაკი. ჩხუბი კიდევ რომ გაგრძელდა, ინგლისელმა მსაჯმა სთივ ლანდერმა უელსელი იაიან ჯოუნზიც მიაბრძანა მოედნიდან, 78-ე წუთზე კი „პოს“ 9 ნომერი ფრედრიკ ტოროსიანიც გააგდეს მეტოქის ჩაწიხლვისათვის. თამაშის შემდეგ სტუმართა ზელანდიელი ფლანკერი სქოთ ქისი მაყურებლებს შეება.

სხვა საგულისხმო ამბებიდან აღსანიშნავია „პონტიპრიზის“ მიერ ძლევა „ბასისა“, რომელსაც აკლდნენ ჯერი გასქოთი, ფილ დეგლენვილი და ლიგელი ჰენრი პოლი; აგრეთვე ბორჩალო სამხრეთ შოტლანდიის მიერ „პლანეპლის“ დამარცხება. ამ თამაშში სქოთთა ყველა ქულა ყოფილი ფეხბურთელის — გარი პარკერის ანგარიშზეა: მან 8 საჯარიმო გაიტანა. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრების ხულიგან შუამარბ რიშარ დურთს, „დაქსში“ რომ თამაშობს, სამი ლელოთი, რვა გარდასახვითა და ერთიც საჯარიმოთი მან ერთბაშად 34 ქულა მოიხვეჭა და დიდად გაიხარა, შელახული სახელი აღვიდგინეო.

### „ჰაინეკენის“ ევროპის თასი

**„ა“ ქვეჯგუფი**

16. X. ედინბურგი (შოტლანდია) — პონტიპრიზი (უელსი) 10:32 (0:15) (ლ: 5ლ); ტრევიზო (იტალია) — დაქსი (საფრანგეთი) 14:34 (9:17) (ლ:4ლ)
19. X. პონტიპრიზი — ბასი (ინგლისი) 19:6 (13:3) (ლ, გ, 4ს : 2ს). 20. X. დაქსი — ედინბურგი 69:12 (31:9) (10ლ:)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პონტიპრიზი | 3 | 3 | 0 | 0 | 79: 38 | 6 |
| დაქსი | 2 | 2 | 0 | 0 | 103: 26 | 4 |
| ბასი | 2 | 1 | 0 | 1 | 61: 45 | 2 |
| ტრევიზო | 2 | 0 | 0 | 2 | 36: 62 | 0 |
| ედინბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 48:156 | 0 |

**„ბ“ ქვეჯგუფი**

16. X. ნისი (უელსი) — კალედონია (შოტლანდია) 27:18 (13:3) (2ლ:2ლ); ალსთერი (ირლანდია) — ჰარლიქვინზი (ინგლისი) 15:21 (12:16) (:2ლ)
19. X. ჰარლიქვინზი — ნისი 44:22 (24:8) (8ლ:3ლ)
20. X. კალედონია — ბრივი (საფრანგეთი) 30:32 (9:14) (4ლ:4ლ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰარლიქვინზი | 2 | 2 | 0 | 0 | 65: 37 | 4 |
| ბრივი | 2 | 2 | 0 | 0 | 66: 49 | 4 |
| ალსთერი | 2 | 1 | 0 | 1 | 56: 55 | 2 |
| ნისი | 3 | 1 | 0 | 2 | 68: 96 | 2 |
| კალედონია | 3 | 0 | 0 | 3 | 82:100 | 0 |

**„გ“ ქვეჯგუფი**

16. X. ლენსთერი (ირლანდია) — ლესთერი (ინგლისი) 10:27 (10:13) (ლ: 2ლ); სამხრეთი (შოტლანდია) — პლანეპლი (უელსი) 24:16 (3:9) (:ლ)
19. X. ლესთერი — სამხრეთი 43:3 (14:3) (6ლ:); პლანეპლი — პო (საფრანგეთი) 31:15 (21:12) (4ლ:2ლ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესთერი | 2 | 2 | 0 | 0 | 70: 13 | 4 |
| პლანეპლი | 3 | 2 | 0 | 1 | 81: 56 | 4 |
| პო | 2 | 1 | 0 | 1 | 100: 59 | 2 |
| სამხ. შოტლ. | 3 | 1 | 0 | 2 | 53:144 | 2 |
| ლენსთერი | 2 | 0 | 0 | 2 | 27: 61 | 0 |

**„დ“ ქვეჯგუფი**

16. X. მილანი (იტალია) — ტულუზი (საფრანგეთი) 26:44 (12:29) (2ლ:6ლ); კარდიფი (უელსი) — მანსთერი (ირლანდია) 48:18 (24:18) (8ლ:2ლ)
19. X. ტულუზი — კარდიფი 36:20 (11:12) (4ლ:ლ); მანსთერი — ვოსფსი (ინგლისი) 49:22 (16:5) (7ლ:4ლ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 2 | 2 | 0 | 0 | 80: 46 | 4 |
| მანსთერი | 3 | 2 | 0 | 1 | 90: 70 | 4 |
| კარდიფი | 3 | 2 | 0 | 1 | 94: 78 | 4 |
| ვოსფსი | 2 | 0 | 0 | 2 | 46: 75 | 0 |
| მილანი | 2 | 0 | 0 | 2 | 31: 67 | 0 |

## ხალხს არაფერი ეშლება!

### ქარრის თასი

19. X. ნახევარფინალები

დურბანი. ნატალი 35 (18) (5ლ: სმოლი, მენდესი, ფანპირდენი, ჟუბერი, პათი; 2გ: ჟუბერი; 2ს: ლაკრუა, ჟუბერი) — ნარინჯი 20 (3) (2ლ: მულერი, სვონეპული; 2გ, ს, ა: სმითი)
პრეტორია. ჩრდ. ტრანსვაალი 21 (2ლ: ოლივიე, საჯარიმო; გ, 3ს: შერელი) — ტრანსვაალი 31 (3ლ: ლოლესი, მულდერი, სტრაული; 2გ და 3ს: ლოლესი; ა: ლერუ)



ნატალის არგენტინელ კვაჭ ფედერიკო მენდესს „პუმები“ აფრიკელებთან სათამაშოდ უხმობენ, მაგრამ ეს უარზეა, აქაოდა ჩემს სამშობლოში რაგბი ჯერაც სამოყვარულოა, მე კი პროფესიონალობა მსურსო. მენდესი ან ნატალში აპირებს დარჩენას, ანაც ინგლისის „ბასში“ სურს გადასვლა და იმასაც ფიქრობს, სამი წელი რომ აღარ ვითამაშებ არგენტინის ნაკრებში, კანონით 1999 წლის მსოფლიო თასზე „ქურციკებში“ მოხვედრის რეალური შანსი მოეცემაო. თუ მენდესი მართლაც გააფრიკელდა, „პუმები“ მეორე დიდ პირველხაზელს მოისაკლისებენ: ფედერიკოს წინამორბედი — „ტოპო“ ენრიკე როდრიგესი 1983 წელს გავოლაბდა.

# ჩოგბურთი



## მშვიდობით, გაბი!

ბოლო ხანს გახშირდა ცნობილ ჩოგბურთელთა ალსარებანი, ესაო და პროფესიონალობა მომყირჭდა და თამაშს თავს ვანებებო. მორიგი ამგვარი ღონისძიება დღეს საღამოსთვისაა დანიშნული ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში“.

მედიას წარუდგება 26 წლის არგენტინელი **გაბრიელა საბატინი**, რომელიც ბოლო დროს ერთობ შეაწუხა მუცლის კუნთის ქრონიკულმა ტრავმამ. ამიტომ ჟურნალისტებს 99 პროცენტით გამოცნობილი ჰქონიათ, თუ რას ეტყვით ამაღამ ტურფა გაბი.

საბატინი 1984 წლიდანაა პროფესიონალი. ქალთა ასოციაციის (ვტა) რეიტინგში ბოლო ათწლეულის მანძილზე ერთთავად მოწინავე ათეულში ყოფილა, სეზონიც სამჯერ — 1989, 1991 და 1992 წლებში დაუსრულებია მესამე ადგილზე, მაგრამ ახლა უკვე 29-ეა.

გაბის ერთეულთა თანრიგში 27 ტურნირი მოუგია. ბოლო ხანს ამ მხრივაც სიბერწე დასჩემდა. 1994 წლის დამლევს „მედისონში“ „ვირჯინია სლიმზის“ ჩემპიონის ტიტული ლინდზი დავენპორტის ფინალში ძლევით რომ მოიპოვა, 42-ტურნირიანი უტიტულო სერია დაასრულა. ვერც ამის მერე ივარგა, ბოლო წოდება კი შარშან, ავსტრალიის ღია პირველობის წინა შეჯიბრში — ახალი სამხრეთი უელსის პირველობაზე მოიგო.

გაბიმ ჩოგბურთიდან პრიზების სახით კარიერის მანძილზე 8 785 850 ამერიკული დოლარი მოიხვეჭა, მაგრამ უფრო მეტი სარფი სარეკლამო საქმიანობით ნახა — ტანსაცმლისა და სუნამოების გასაღებას შველოდა ცნობილ ფირმებს. ამით მან ბევრით გაუსწრო მასზე ძლიერ მოთამაშეებს — დიდ მარტინა ნავრატილოვასა და ამასზე არანაკლებ მონიკა სელეშს.

საბატინის „სლიმზის“ გარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრი აქვს მოგებული — დიდი სლემის ჩათვლაში შემავალი აშშ-ის ღია პირველობა. ამის 1990 წლის ფინალში არგენტინელი ორ ხელში მოერია გერმანელ შტეფი გრაფს.

### წინა კვირაში

**მარლბოროს პირველობა (ჰონკონგი)**

ოქროს ჯგუფი მოიგო იონას ბიორკმანმა (შვედეთი), ვინაც გადამწყვეტი მატჩი 3:6, 6:2, 6:4 მოუგო თეძომტკივან თომას მუსტერს (ავსტრია, 2)
ვერცხლის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე), ვინაც თვით პიტ სამპრასი (აშშ, 1) 6:4, 6:2 დაამარცხა.
ლურჯ ჯგუფში რიჩი რენებერგს (აშშ, 4) ნახევარფინალში გასასვლელად ვინს სპედიასთან (აშშ) ერთი ხელის მოგება ყოფნიდა. პოდა, 1:6, 6:0, 4:6 წააგო.
წითელ ჯგუფში გაიმარჯვა პატ რაფთერმა (ავსტრალია), ვინაც ევგენი კაფელნიკოვსაც (რუსეთი, 3) აჯობა და მაიკ ჯოისსაც (აშშ).
ნახევარფინალის წინ რენებერგს კუჭი აემალა. ორგანიზატორებმა სასწრაფოდ იხმეს 22 წლის სპედია, ვინაც ბიორკმანი 3:6, 6:4, 7:5 დაამარცხა. რაფთერმა აჯობა ბლექს 6:2, 5:7, 6:3
ფინალი წვიმის გამო კვირის ნაცვლად ორშაბათსლა გაიმართა. 23 წლის რაფთერმა 6:2, 3:6, 6:2, 7:5 მოიგო და ჯილდოდ 185 ათასი დოლარი დაიმსახურა.

**ევროპის ქალთა ჭერქვეშა პირველობა (ციურიხი)**

მეოთხედფინალი: ივა მაიოლი (ხორვატია, 2) — ბრენდა შულცი (ჰოლანდია, 6) 6:3, 7:6; ანკე ჰუბერი (გერმანია, 3) — სილვია ფარინა (იტალია) 6:1, 6:1; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 4) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:4, 6:2; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 5) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 6:1
ნახევარფინალი: ჰინგისი — ჰუბერი 3:6, 6:2, 7:6; ნოვოტნა — მაიოლი (შარშანდელი ჩემპიონი) 5:7, 6:2, 6:2
ფინალი: ნოვოტნა — ჰინგისი 6:2, 6:2

**ჩეხეთის ვაჟთა ჭერქვეშა პირველობა (ოსტრავა)**

მეოთხედფინალი: თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 7) — ვეინ ფერერა (სამხრ. აფრიკა, 2) 6:4, 6:3; დავიდ პრინოზილი (გერმანია) — თოდ მარტინი (აშშ, 5) 7:6, 7:6; მარტინ დამი (ჩეხეთი) — მიხაელ შტიხი (გერმანია, 6) 5:7, 6:4, 6:4; პეტრ კორდა (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:1, 6:0
ნახევარფინალი: პრინოზილი — ჰენმანი 6:4, 6:3; კორდა — დამი 4:6, 6:3, 7:5
ფინალი: პრინოზილი — კორდა 6:1, 6:2 (49 წუთში). გამარჯვებულს 64 ათასი ერგო

**ისრაელის ღია პირველობა**

ფინალში, თელ-ავივის ხისტ კორტებზე, ხავიერ სანჩესმა (ესპანეთი) 6:4, 7:5 დაამარცხა მარკუს ონდრუშკა (სამხრ. აფრიკა) და 43 ათასი დოლარი მიითვალა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და CROCO წარმოგიდგენთ

# სპორტული ლატარია №4

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები სამივე შესაძლო შედეგისთვის. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და შედეგის შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგის შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და შესაბამისად მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის კოეფიციენტი 4,5 ტოლია. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა. შ.) ერთი და იგივე მატჩის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგალითად: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1).

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება შემდეგ შემთხვევაში:

1. ფსონი დადებულია მატჩის დამთავრების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (საკლუბო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონები, რომლებიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება).
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა.
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი.
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

იმ შემთხვევაში, როცა ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვერა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის კოეფიციენტად ჩაითვლება 1 (ერთი) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით, გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია საკლუბო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა პატრონს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, როცა ქვითრის ორი მხარე ერთნაირად არ არის შევსებული, განსახილველად მიიღება კროკოს ადმინისტრაციაში შემოსულ ნაწილზე მითითებული ვარიანტი.

. ფსონის მინიმალური ოდენობა: ერთ ვარიანტზე 50 თეთრი. ერთ ვარიანტში არ შეიძლება გადამრავლდეს 20 მატჩზე მეტი.

### ქვითრის შევსების ნიმუშები:

ინტერი — კალიარი 1

1 ლარი

ინტერი — კალიარი 1
პარმა — ლაციო 1X
რომა — ნაპოლი 1
სამპდორია — მილანი X2
იუვენტუსი — ფიორენტინა 0:0

4 ვარიანტი
4X1 ლარი-4 ლარი

ინტერი — კალიარი 1
პარმა — ლაციო X
რომა — ნაპოლი 1
სამპდორია — მილანი 2
იუვენტუსი — ფიორენტინა X

5-1 5 ვარიანტი
5X1 ლარი=5 ლარი

## გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. (25-27.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25.10 | ვერდერი — ლევერკუზენი<br>კარლსრუე 3:1 ს / შტუტგარტი 0:0 შ<br>შალკე 3:0 შ / კარლსრუე 1:1 ს | 1,5 | 2,7 | 4,7 | — | — | — | — | 2:1 | 2:2 | 3:2 | 2:1 | 2:1 | 2:2 |
| | ჰანზა — ზანქტ პაული<br>მიონხენგლადბახი 0:2 ს / ფრაიბურგი 2:0 შ<br>შტუტგარტი 2:2 შ / მიუნხენი 2:4 ს | 1,5 | 2,7 | 4,7 | — | — | — | — | 2:0 | 2:3 | — | — | — | — |
| 26.10 | დორტმუნდი — არმინია<br>ბაიერნი 0:0 ს / კიოლნი 1:4 შ<br>დუისბურგი 2:0 შ / ჰამბურგი 2:2 ს | 1,1 | 4,0 | 10,0 | 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 | — | — | — | — | — | — |
| | ჰამბურგი — კარლსრუე<br>შალკე 0:2 ს / ვერდერი 1:3 შ<br>არმინია 2:2 შ / ლევერკუზენი 1:1 შ | 1,7 | 2,8 | 3,3 | — | — | — | — | 0:0 | 1:3 | 3:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 |
| | შტუტგარტი — მიონხენგლადბახი<br>ლევერკუზენი 0:0 ს / ჰანზა 2:0 შ<br>ჰანზა 2:2 ს / ფრაიბურგი 0:1 ს | 1,2 | 3,4 | 7,0 | — | — | — | — | 5:0 | 1:1 | 2:4 | 1:3 | 3:0 | 2:0 |
| | მიუნხენი — დუისბურგი<br>ბოხუმი 2:2 ს / დიუსელდორფი 0:0 შ<br>ზანქტ პაული 4:2 შ / დორტმუნდი 0:2 ს | 1,35 | 3,0 | 5,6 | — | — | — | — | — | — | 1:1 | 1:1 | — | — |
| | დიუსელდორფი — ბაიერნი<br>დუისბურგი 0:0 ს / დორტმუნდი 0:0 შ<br>ბოხუმი 2:2 შ / კიოლნი 4:2 ს | 4,4 | 3,0 | 1,45 | — | — | — | — | 0:2 | 2:2 | — | — | — | — |
| | კიოლნი — შალკე<br>არმინია 4:1 ს / ჰამბურგი 2:0 შ<br>ბაიერნი 2:4 შ / ვერდერი 0:3 ს | 1,35 | 3,0 | 5,6 | — | — | — | — | 0:1 | 0:0 | 5:1 | 1:3 | 1:1 | 2:1 |
| 27.10 | ფრაიბურგი — ბოხუმი<br>ზანქტ პაული 0:2 ს / მიუნხენი 2:2 შ<br>მიონხენგლადბახი 1:0 შ / დიუსელდორფი 2:2 ს | 1,6 | 3,0 | 3,4 | — | — | — | — | — | — | 1:2 | 3:1 | — | — |

XI ტური:
ბოხუმი — მიუნხენი 2:2
ლევერკუზენი — შტუტგარტი 0:0
ზანქტ პაული — ფრაიბურგი 2:0
კარლსრუე — ვერდერი 1:3
შალკე — ჰამბურგი 2:0
არმინია — კიოლნი 1:4
დუისბურგი — დიუსელდორფი 0:0
მიონხენგლადბახი — ჰანზა 2:0
ბაიერნი — დორტმუნდი 0:0

XIII ტური:
ბოხუმი — ჰანზა
ზანქტ პაული — შტუტგარტი
ვერდერი — ჰამბურგი
კარლსრუე — კიოლნი
შალკე — დორტმუნდი
არმინია — დიუსელდორფი
ბაიერნი — მიუნხენი
დუისბურგი — ფრაიბურგი
ლევერკუზენი — გლადბახი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შტუტგარტი | 11 | 7 | 3 | 1 | 28-10 | 24 | 5 | 4 | 0 | 1 | 14-5 | 12 | 6 | 3 | 3 | 0 | 14-5 | 12 |
| 2. | ბაიერნი | 11 | 7 | 3 | 1 | 20-11 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 9-4 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 11-7 | 10 |
| 3. | ლევერკუზენი | 11 | 7 | 2 | 2 | 25-14 | 23 | 6 | 4 | 1 | 1 | 16-7 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 4. | დორტმუნდი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-14 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 5. | ვერდერი | 11 | 6 | 1 | 4 | 25-14 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 | 6 | 2 | 0 | 4 | 12-12 | 6 |
| 6. | კიოლნი | 11 | 6 | 1 | 4 | 19-14 | 19 | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 7. | კარლსრუე | 11 | 5 | 2 | 4 | 19-15 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 12-8 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 8. | ბოხუმი | 11 | 4 | 5 | 2 | 16-16 | 17 | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 | 5 | 0 | 3 | 2 | 5-11 | 3 |
| 9. | დიუსელდორფი | 11 | 4 | 3 | 4 | 8-15 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 5-8 | 10 |
| 10. | მ. გლადბახი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-11 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 0-7 | 1 |
| 11. | მიუნხენი | 11 | 4 | 2 | 5 | 19-20 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 13-11 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 12. | შალკე 04 | 11 | 3 | 4 | 4 | 11-16 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 5-5 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-11 | 7 |
| 13. | ჰამბურგი | 11 | 3 | 2 | 6 | 15-20 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 4-12 | 3 |
| 14. | ზანქტ პაული | 11 | 3 | 2 | 6 | 15-23 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 10-9 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |
| 15. | ჰანზა | 11 | 2 | 3 | 6 | 12-18 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 6-10 | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 16. | დუისბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-16 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| 17. | ფრაიბურგი | 11 | 3 | 0 | 8 | 14-30 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 | 6 | 0 | 0 | 6 | 7-23 | 0 |
| 18. | არმინია | 11 | 1 | 4 | 6 | 10-19 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 5-9 | 3 |

| № | ბუნდესლიგა 1996-97 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არმინია ბილეფელდი | | | | | 1:1 | 3:1 | 1:2 | | 1:1 | 0:1 | | | | | 0:1 | | | |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი | 1:0 | | 1:1 | 0:0 | | | | 1:0 | | 4:2 | | | | | | | 2:1 | |
| 3 | ბოხუმი | 1:1 | | | | 1:0 | | | 3:1 | | | | 2:2 | | | | | 3:1 | |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი | | | | | 2:0 | | 2:1 | | | | | | 4:0 | 3:1 | | 1:1 | | |
| 5 | დუისბურგი | | 0:4 | | | | 3:2 | | | 3:0 | 1:3 | | | 0:0 | | 0:1 | | | |
| 6 | ვერდერი ბრემენი | | 3:0 | 5:1 | | | | | | | | 1:0 | | | | 3:0 | | | 1:1 |
| 7 | ზანქტ პაული ჰამბურგი | | 1:2 | | | | 0:3 | | | 0:0 | | | | 3:0 | 2:0 | 4:4 | | | · |
| 8 | კარლსრუე | 5:2 | | | | 1:0 | 1:3 | 4:0 | | | 1:1 | | | | | | 0:2 | | |
| 9 | კიოლნი | | 2:4 | 2:0 | | | | | | | | 4:0 | 1:0 | | | | | | 0:2 |
| 10 | ბაიერი ლევერკუზენი | | | | 4:2 | | | | | | | | 3:0 | 0:1 | 5:3 | | 0:0 | | 4:1 |
| 11 | ბორუსია მიონხენგლადბახი | 0:0 | | | 5:1 | | | | 1:3 | | | | 1:0 | | | | | 3:0 | 2:0 |
| 12 | მიუნხენი 1860 | | | | 1:3 | | | 4:2 | | | | | | | 4:0 | | 2:5 | 2:1 | |
| 13 | ფორტუნა დიუსელდორფი | | | 2:2 | | | | | | 0:3 | | 1:0 | 0:0 | | | | | | 0:2 |
| 14 | ფრაიბურგი | | | | | | 3:2 | | | 1:3 | | 1:0 | | 1:2 | | | | | 1:0 |
| 15 | შალკე 04 გელზენკირხენი | | 1:1 | 1:1 | | | | | 0:1 | | 1:2 | 0:0 | | | | | | 2:0 | |
| 16 | შტუტგარტი | | | | | | 2:1 | | | 4:0 | | | | 0:2 | 4:2 | 4:0 | | | |
| 17 | ჰამბურგი | 2:2 | | | | 1:1 | | 3:0 | | | | | | | 5:1 | | 0:4 | | |
| 18 | ჰანზა როსტოკი | | | | 0:1 | | | | 2:2 | | | | 2:4 | | | | 2:2 | 0:1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. (26-28.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | | | ძირითადი დრო | | | | ჰანდიკაპი | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26.10 | არსენალი — ლიდსი | ქოვენთრი 0:0 შ<br>ბლექბერნი 2:0 ს | ასტონ ვილა 0:2 ს<br>ნოტინგემი 2:0 შ | 1,1 | 4,0 | 10,0 | 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 | 2:1 | 3:0 | 1:3 | 0:1 | 2:1 | 1:2 |
| | ჩელსი — ტოტენჰემი | უიმბლდონი 2:4 შ<br>ლესტერი 3:1 ს | მიდლსბრო 3:0 ს<br>ასტონ ვილა 1:0 შ | 1,8 | 2,6 | 3,2 | — | — | — | — | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 4:3 | 1:1 |
| | ქოვენთრი — შეფილდი | არსენალი 0:0 ს<br>საუთჰემპტონი 1:1 შ | ბლექბერნი 1:1 შ<br>უიმბლდონი 2:4 ს | 1,9 | 2,8 | 2,8 | — | — | — | — | 0:1 | 3:4 | 2:0 | 1:5 | 1:1 | 0:0 |
| | ლესტერი — ნიუკასლი | ვესტ ჰემი 0:1 ს<br>ჩელსი 1:3 შ | მანჩესტერ 5:0 შ<br>დერბი 1:0 ს | 5,6 | 3,0 | 1,35 | — | — | — | — | — | — | 1:3 | 1:3 | — | — |
| | მიდლსბრო — უიმბლდონი | ტოტენჰემი 0:3 შ<br>სანდერლენდი 2:2 ს | ჩელსი 4:2 ს<br>შეფილდი 4:2 შ | 1,5 | 3,0 | 4,0 | — | — | — | — | 1:2 | 0:0 | — | — | — | — |
| | საუთჰემპტონი — მანჩესტერი | სანდერლენდი 3:0 შ<br>ქოვენთრი 1:1 ს | ნიუკასლი 0:5 ს<br>ლივერპული 1:0 შ | 2,7 | 2,7 | 2,0 | — | — | — | — | 3:1 | 1:4 | 2:2 | 1:2 | 1:3 | 0:2 |
| | სანდერლენდი — ასტონ ვილა | საუთჰემპტონი 0:3 ს<br>მიდლსბრო 2:2 შ | ლიდსი 2:0 შ<br>ტოტენჰემი 0:1 ს | 2,3 | 2,5 | 2,3 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ვესტ ჰემი — ბლექბერნი | ლესტერი 1:0 შ<br>ევერტონი 1:2 ს | შეფილდი 1:1 ს<br>არსენალი 0:2 შ | 1,4 | 3,0 | 5,0 | — | — | — | — | 1:1 | 2:4 | 2:0 | 2:4 | 1:2 | 2:0 |
| 27.10 | ლივერპული — დერბი | ევერტონი — შ<br>მანჩესტერი 0:1 ს | ნოტინგემი 1:1 ს<br>ნიუკასლი 0:1 შ | 1,15 | 3,6 | 9,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | — | — | — | — | — | — |
| 28.10 | ნოტინგემი — ევერტონი | დერბი 1:1 შ<br>ლიდსი 0:2 ს | ლივერპული — ს<br>ვესტ ჰემი 2:1 შ | 1,7 | 2,7 | 3,4 | — | — | — | — | 3:2 | 0:3 | 2:1 | 2:1 | — | — |

X ტური: არსენალი — ქოვენთრი 0:0, ასტონ ვილა — ლიდსი 2:0, ჩელსი — უიმბლდონი 2:4, მიდლსბრო — ტოტენჰემი 0:3, ნოტინგემი — დერბი 1:1, შეფილდი — ბლექბერნი 1:1, საუთჰემპტონი — სანდერლენდი 3:0, ვესტ ჰემი — ლესტერი 1:0, ლივერპული — ევერტონი (გადაიდო), ნიუკასლი — მანჩესტერი 5:0

XII ტური: ასტონ ვილა — ნოტინგემი, ბლექბერნი — ლივერპული, დერბი — ლესტერი, ევერტონი — ქოვენთრი, ლიდსი — სანდერლენდი, მანჩესტერი — ჩელსი, ნიუკასლი — მიდლსბრო, შეფილდი — საუთჰემპტონი, ტოტენჰემი — ვესტ ჰემი, უიმბლდონი — არსენალი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნიუკასლი | 10 | 8 | 0 | 2 | 20-10 | 24 | 5 | 4 | 0 | 1 | 14-6 | 12 | 5 | 4 | 0 | 1 | 6-4 | 12 |
| 2. | არსენალი | 10 | 6 | 3 | 1 | 19-8 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 3. | უიმბლდონი | 10 | 7 | 0 | 3 | 20-11 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 4. | ლივერპული | 9 | 6 | 2 | 1 | 18-7 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 5. | მანჩესტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 19-11 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 6. | ჩელსი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-15 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 7. | ასტონ ვილა | 10 | 4 | 3 | 3 | 13-10 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
